# ალია

რას უყვება მინისტრის მოადგილე კახიშვილი „ალიას“ ციხის რეფორმაზე?



N172/3102/ 21-24 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE გამოდის 1995 წლიდან

## ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით მილიონერებს პარლამენტიდან და მთავრობიდან გაყრიან




## მიშა ისეთი გამწარებული ყოფილა, ძლივს აწყნარებენ თურმე...

რის გამო დაიძაბა ურთიერთობა სააკაშვილსა და ბოკერიას შორის?




## რატომ არ აცხადებს ხელისუფლება პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ დამნაშავედ და არ კრძალავს?

## მურმან დუმბაძე: „საგანელიძემ უნდა იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება მას ძვირად დაუჯდება“

რას არ აპატიებს დუმბაძე უმრავლესობის ლიდერს?



## რისთვის ხვდება არასაპარლამენტო ოპოზიცია ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელს?



## კახა ბენდუქიძე თბილისში ჩამოასვენეს



საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე ლონდონიდან თბილისში დღეს ჩამოასვენეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმყოფებოდნენ კახა ბენდუქიძის ახლობლები, სტუდენტები, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

ბენდუქიძეს აეროპორტიდან სახლში, მოსაშვილის ქუჩაზე, №5-ში გადაასვენეს, სადაც დღეს სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება.

ეკონომიკის ყოფილ მინისტრს შაბათს, 22 ნოემბერს კუკიის სასაფლაოზე დაკრძალავენ. გამოსვენება კი დილმის საუნივერსიტეტო კამპუსიდან მოხდება.

კახა ბენდუქიძე 58 წლის ასაკში, 13 ნოემბერს, ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში გულის შეტევით გარდაიცვალა.

„ძალიან ვწუხვარ კახას გარდაცვალების გამო. ის იყო ჩემი ახლო მეგობარი, თუმცა ამავე დროს იყო ნამდვილი ინტელექტუალური მეტრი ახალი საქართველოსი. მისი დანაკლისი არის ქვეყნის დანაკლისი. უბრალოდ, შეუძლებელია იმ დანაკლისის გამოხატვა, რაც ქვეყანამ მიიღო. ვფიქრობ, ის იყო გამგრძელებელი იმ ძალიან დიდი გზისა, რომელსაც საქართველოში ამკვიდრებდნენ ქვეყნის ყველაზე გამორჩეული შვილები“, – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## „მაესტროდან“ პროტესტის ნიშნად წასული ჟურნალისტები „ქართული ოცნების“ პრესცენტრში გადავიდნენ



„მაესტროდან“ წასული სამი ჟურნალისტი „ქართული ოცნების“ პრესსამსახურში გადავიდა. მათ შორის არიან მაკა ცინცაძე, ხატია ქვათაძე და შორენა ხვიჩია. ინფორმაციის თანახმად, მაკა ცინცაძე, რომელიც ასევე მოიაზრება ბიძინა ივანიშვილის გადაცემის წამყვანად, „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის უფროსი იქნება. (ნიუპოსტი)

## „ივანიშვილს უნდოდა რეპრესიების ჩატარება და არ სურდა პასუხისმგებლობის აღება“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გეგმებზე საუბრობს. სააკაშვილის განმარტებით, ივანიშვილის გადადგომის სამი მოტივაცია არსებობდა:

„თავიდანვე ნათელი იყო, რომ ასე მოხდებოდა. საერთოდ ეჭვი არ მეპარებოდა და არ ეპარებოდა ეჭვი არავის, ვისაც ოდნავ მაინც შეფასების უნარი ჰქონდა. ვილაცები ამბობდნენ, რომ ივანიშვილი ვერ გაბედავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის მოვიდა იმ მანდატით, იმ განწყობით, რომ მშვენივრად გაბედავდა. იმიტომ რომ მას აქვს სხვა ვალდებულებები. ანგარიშვალდებულება, რა თქმა უნდა, პუტინის წინაშე. მე არ ვამბობ, რომ ივანიშვილი ყველაფერს გააკეთებს, რაც რუსებს უნდათ, მაგრამ ის ყველაფერს გააკეთებს, რაც თვითონ უნდა. მაგრამ ამ შემთხვევაში რუსებისა და მისი ინტერესები იმდენად ემთხვეოდა ერთმანეთს და იმდენად დიდი ზურგი იყო რუსების, რომ, რა თქმა უნდა, ის ამას გააკეთებდა.

მისი ფორმალური გადადგომის მოტივაცია იყო ორი. უფრო სწორად, სამი: ერთი, რომ ჩაეტარებინა რეპრესიები და ამაზე პასუხი არ ეგო. არაერთხელ თვითონაც თქვა, – ჩემგან რა უნდა დასავლეთს, მე ხომ ფორმალურად არა ვარ თანამდებობის პირი. მეორე მისია, მოტივაცია იყო, რომ ფული ეკეთებინა. ის, რომ უჩა მამაცაშვილი, მისი დეიდაშვილი, ახლა ყველა დიდ საწარმოშია და ყველა გადაზიდვის ყველა თემას აზის, ზუსტად ისე, როგორც ნუგზარ შევარდნაძე, ოღონდ უფრო მეტადაც. აი, ერთად რომ ავილოთ ნუგზარ შევარდნაძე, კახა თარგამაძე, ქუთათელაძე და ჩხარტიშვილი, ყველაფერი ერთად, რასაც ისინი აკეთებდნენ და, ახლა ამას აკეთებს თითქმის მთლიანად უჩა. ეს არის მეორე მოტივაცია. ფორმალურად ივანიშვილი არ არის თანამდებობის პირი და ახლა მისი ნათესავი თუ რამეს აკეთებს, ვერ მოედავები. და მესამე: საერთოდ უნდოდა პასუხისმგებლობების თავიდან არიდება. მათ შორის – თავისი დაპირებების.

მას უნდოდა რეპრესიების ჩატარება და მას არ უნდოდა ამაზე ფორმალურად პასუხისმგებლობა აეღო. მისი მილიარდები არის დასავლეთში და თუ ის ფორმალურად პასუხისმგებელი იქნება, ძალიან ადვილი იქნებოდა მასთან ამაზე მოდავება“, – აცხადებს სააკაშვილი. (ნიუპოსტი)

## რატომ მოხვდა მიხეილ ხუბუტია საავადმყოფოში?



მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი, მიხეილ ხუბუტია სოციალურ ქსელში ერთ-ერთ კლინიკაში გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს. ფოტოს მრავალი გამოხმაურება მოჰყვა ხუბუტიას მეგობრების მხრიდან, რომლებიც ბიზნესმენის ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდებიან. (ნიუპოსტი)



## „რატომ არის საქართველო უფრო დემოკრატიული, ვიდრე ევროპა?“

ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშილმა კომენტარი გააკეთა:

„ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს, ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც არის აპრობირებული სხვა ევროპულ, ცივილიზებულ სამყაროში. მე არ ვიცი, რატომ ვართ ჩვენ, საქართველო უფრო მეტად დემოკრატიული, ვიდრე არის საფრანგეთი, ან პოლონეთი, ან ჩეხეთი, ან ისრაელი, ან ამერიკა. დამისახელოს ვინმემ, ვინც არის ამ პროექტის ავტორი, ჭკუათმყოფელი, გამოვიდეს და თქვას, აიღოს მაშინ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. მათი მთავარი მიზანი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს პარალიზება, ისინი ებრძვიან სახელმწიფო ინსტიტუტებს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)



## „კაბელების საქმის“ მასალების ნაწილს გრიფი უახლოეს დღეებში მოეხსნება

მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების საქმის მასალების ნაწილს გრიფი უახლოეს დღეებში მოეხსნება.

„ჩვენ გავდივართ სათითაოდ დოკუმენტებს და კონტრდაზვერვის დასკვნა, რომელ დოკუმენტზეც გვეტყვის, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, რომ მასალები არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას და შესაძლოა, გრიფი მოეხსნა, რა თქმა უნდა, მოეხსნება. საქმეს გრიფი მთლიანად არ მოეხსნება, რადგან მასში არის რიგი დოკუმენტებისა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს“, – აღნიშნა შოთაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ნატოს გენმდივანმა საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა



ესტონეთში ვიზიტით მყოფი ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგისა და ესტონეთის პრეზიდენტის ჰენდრიკ ილვესის განცხადებით, აუცილებელია აღმოსავლეთ პარტნიორების – საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგრძნობი დახმარება ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან.

„ეს ხელს შეუწყობს მათი უფლებების დაცვას დამოუკიდებელ არჩევანთან დაკავშირებით, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების საფრთხეებისგან“, – განაცხადეს სტოლტენბერგმა და ილვესმა.

ილვესმა ისურვა რეგიონში ნატოში მოკავშირეების სამხედრო ყოფნის გაზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს უკიდურესად აუცილებელია. მან გაიხსენა უელსის სამიტზე მხარდაჭერილი მზადყოფნის მოქმედების გეგმა, რომელიც ასევე ითვალისწინებს მოკავშირეთა ჯარების ყოფნას აღმოსავლეთ საზღვართან.

„მოკავშირეთა ჯარების გადამწყვეტი და შესამჩნევი ყოფნა საუკეთესო საშუალებაა მათ შესაკავებლად, ვისაც სურს უსაფრთხოების ევროპული არქიტექტურის მოშლა. აქ, ალიანსის ფრონტის ხაზზე, იციან თავისუფლების ფასი და ისიც, რომ თავისუფლება არ შეიძლება იყოს უფასო“, – განაცხადა ილვესმა. (ინტერპრესნიუსი)

## სოფელი ნიგვზიანი ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონად გამოცხადდა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანში შინაური პირუტყვი ცოფით დაავადდა. გუბერნატორის 2014 წლის 12 ნოემბრის №270 განკარგულების საფუძველზე ნიგვზიანი ცოფის მხრივ – არაკეთილსაიმედოდ, ხოლო მისი მიმდებარე ტერიტორია (2-3 კმ რადიუსი) დაავადების მხრივ საშიშროების ქვეშ მყოფ ტერიტორიად გამოცხადდა.

განკარგულების საფუძველზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულმა სამმართველომ უნდა უზრუნველყოს დაავადების არაკეთილსაიმედო კერაში და ცოფის მხრივ საშიშროების ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაავადების საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების გატარება. ასევე, იმუნურ-ბუფერული ზონის შექმნის მიზნით, ცოფის კერის ირგვლივ აუცილებელია გატარდეს ცოფის ყველა ამთვისებელი ცხოველის იძულებითი რკალური პროფილაქტიკური ვაქცინაცია (2-3კმ რადიუსით).

განკარგულების შესაბამისად, სოფელ ნიგვზიანის ტერიტორიაზე დაწესდა შეზღუდვა და შესაბამისი სამსახურების მიერ, კანონით გათვალისწინებული ვეტერინარულ-სანიტარიული ღონისძიებები ტარდება. (ინტერპრესნიუსი)

24 წლის გოგონა ქმარმა, ქმრის ბიძამ და ქმრის ძმაკაცებმა სცემეს

როგორც 24 წლის ახალგაზრდა აცხადებს, გათხოვებიდან 5 დღეში ის ქალაქის საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილებაში მოხვდა.

„სამმა კაცმა გამიგდო წიხლქვეშ. მეუღლემ და კიდევ ორმა პირმა ეჭვიანობის ნიადაგზე მცემეს. ახალი გათხოვილი ვიყავი. ერთ საღამოს სუფრა იყო გაშლილი. ხალხის თვალწინ მცემეს. ჯერ მეუღლის ბიძამ გამარტყა ხელი. გავიქეცი და სახლში, ჩემებთან დარეკვა მოვახერხე. მირტყამენ და მომეშველეთ-მეთქი. ჩემთან დაქალი და მისი ქმარი იყვნენ, რომლებიც გაიქცნენ და მიმატოვეს. ქმარმა და მისმა ნათესავებმა დამიჭირეს და დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ოთახში ჩამკეტეს. ტელეფონი წამართვეს. მეუღლის ბიძამ ტელეფონი რომ მომიტანა, გამაფრთხილა, ვინც არ უნდა დაგირეკოს, უთხარი, რომ კარგად ხარ და დახმარება არ გჭირდებაო. რომ დამირეკეს ჩემი ოჯახის წევრებმა და მკითხეს, რა გჭირსო, ვუთხარი, რომ დახმარება მინდოდა. ამის შემდეგ გამიგდეს წიხლქვეშ. საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზით, უმძიმეს მდგომარეობაში მიმიყვანეს“, – ამბობს გოგონა.

ახალგაზრდამ ქმრის წინააღმდეგ სარჩელი ქუთაისის სასამართლოში შეიტანა, მოსამართლემ ნაცემი გოგონას ყოფილ ქმარს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაავალა, რაც ქუჩებისა და სასაფლაოს დაგვა-დასუფთავებას გულისხმობს. (კვირა.გე)

## პატრიარქი განცხადებასავრცელებს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იერუსალიმში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და ებრაელ ხალხს მომხდარის გამო უსამძიმრებს:

„გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დიდი წუხილი და შეშფოთება 18 ნოემბერს იერუსალიმში, ებრაული რელიგიური სასწავლებლის სინაგოგაში, მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, რომლის შედეგადაც ხუთი პიროვნება გარდაიცვალა, მათ შორის ოთხი რაბინი, არიან დაშავებულებიც. ჩვენ ვგმობთ ამ ქმედებას და გულითადად ვუსამძიმრებთ განსვენებულთა ოჯახებსა და მთელ ებრაელ ხალხს. დიდად სამწუხაროა ისიც, რომ, რელიგიურ ნიადაგზე საერთოდ გახშირდა პროვოკაციული ქმედებები და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიზანმიმართულად ხდება დაპირისპირების კერების შექმნა.

შევთხოვთ ღმერთს, მოგვმადლოს კეთილგონიერება და მშვიდობა“, – ნათქვამია უწმინდესის განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

# რატომ არ აცხადებს ხელისუფლება პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ დამნაშავედ და არ კრძალავს?

**„ალია“ მეტი დამაჯერებლობისთვის, ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, რა სამართლებრივი საფუძველი აქვს ხელისუფლებას „ნაცმოძრაობის“ გასასამართლებლად და ასაკრძალად:**

**— ბატონო გელა, მოდით, შეახსენეთ საზოგადოებას, რის საფუძველზე შეიძლება აიკრძალოს „ნაცმოძრაობა“? რა კონკრეტული სისტემური დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი?**

– როცა ეს ხელისუფლება შეიცვალა, იყო მოთხოვნები, რომ აკრძალულიყო „ნაცმოძრაობა“ და მისი პოლიტიკური ლიდერები გაესამართლებინათ. ეს ერთი ხელის მოსმით არ ხდება. უნდა მომხდარიყო იმ ყველა კანონდარღვევის, დანაშაულის გამომჟღავნება, გასაჯაროება, დამტკიცება, რასაც ესენი წლების მანძილზე სჩადიოდნენ. მასობრივი მოსმენები, მასობრივი წამებები, მასობრივი რეკეტი ბიზნესმენების მიმართ, პოლიტიკური ნიშნით ხალხი სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლება, გახმაურებული მკვლელობები, მედიაზე ტერორი, ზეწოლა და მასზე პარტიული კონტროლის დაწესება, არჩევნების მასობრივი გაყალბება და თანაც არაერთგზის... ამ ყველაფერს სისტემური ხასიათი ჰქონდა. აი, ეს, სისტემის დანაშაულებრივი ხასიათი უნდა წარმოჩენილიყო და ამის შემდეგ უნდა დამდგარიყო აკრძალვის საკითხი. ეს უნდა დამტკიცებულიყო სასამართლოზე და მერე, უკვე პრობლემა აღარ იქნებოდა დამნაშავე პარტიის აკრძალვა. „ნაცმოძრაობის“ სისტემური დანაშაულის უტყუარი მტკიცებულებები ხელში ეჭირა ხელისუფლებას – ათასობით ვიდეომტკიცებულება, მასობრივი წამების ფაქტები, ეს ფაქტები გაანადგურეს. ამას დაამატეთ 27 ათასზე მეტი საჩივარი, რომელიც პროკურატურაშია შეტანილი. არ დაგავიწყდეთ, ეს საჩივრები „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა და წევრთა წინააღმდეგ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე თვეში შევიდა მთავარ პროკურატურაში. ამ საქმეებზე რეაგირება უნდა მომხდარიყო, ამ საქმეების ნახევარი მაინც რომ გამოეძიებინათ, სრულიად საკმარისი იქნებოდა იმის დასადასტურებლად, რომ „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე პარტიაა და დღის წესრიგში, უკვე მისი გასამართლების საკითხი დადგებოდა. ახლა კი, ეს სამხილები განადგურებულია, მხოლოდ რამდენიმე ადამიანია გასამართლებული. ამ ხალხის ციხეში ჯდომა არავის თვითმიზანი არ ყოფილა. ხალხის დაკვეთა სამართლიანი იყო – „ნაცმოძრაობის“ სისტემური დანაშაულის გამოძიება, მათი ლიდერების დასჯა და ბოლოს, დამნაშავე პარტიის აკრძალვა. ეს არ გააკეთა ხელისუფლებამ და ამის შედეგია, რომ „ნაციონალები“ დღეს ისევ დიდ გულზე არიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების დასჯა, ამ კრიმინალური პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო. მეტიც, ბიძინა ივანიშვილი ხალხს სწორედ ამას ჰპირდებოდა, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა. ხალხიც იმიტომ გაჰყვა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“. დიახ, ეს იყო ხალხის უმთავრესი მოთხოვნა. დღემდე არ გადამდის თვალებიდან, როგორ ჰპირდებოდნენ ხალხს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში „ნაცმოძრაობის“, როგორც დამნაშავე ორგანიზაციის ჯერ გასამართლებას, მერე კი აკრძალვას მიტინგებსა და ტელეეთერებიდან დღევანდელი ხელისუფლებისა ლიდერები – ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე, ზაზა პაპუაშვილი, მანანა კობახიძე, თინა ხიდაშელი, გოგი ქავთარაძე, ნუკრი ქანთარია... ეს ხალხი ჰპირდებოდა ხალხს, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ თუ არა, სააკაშვილის რეჟიმს გაასამართლებდნენ.

მაშინ ეს ხალხი მართალს ამბობდა. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა მრავალი დანაშაული ჩაიდინა ქართველი ხალხისა და კაცობრიობის წინაშე. ხალხის მასობრივი წამებები ციხეებსა და პოლიციაში, კანონიერი საპროტესტო აქციების ბარბაროსულად დარბევა, რასაც ასეულობით ადამიანის ცემა და 26 მაისს 2 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, კერძო საკუთრების ხელყოფა და ათასობით ადამიანისთვის ქონების უკანონოდ წართმევა, ბიზნესმენთა დევნა და ტერორი, უკანონოდ ადამიანთა ციხეებში გამოკეტვა და ა.შ. ამ ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი სჩადიოდა, ყველაფერს სისტემური ხასიათი ჰქონდა, ყველა პროცესს „ნაცმოძრაობის“ ლიდერები წარმართავდნენ სააკაშვილის ბრძანებით, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ყველა სახის დანაშაულზე წითელი შუქი ჰქონდათ ანთებული.



**„ნაცმოძრაობის“ სისტემური დანაშაულის უტყუარი მტკიცებულებები ხელში ეჭირა ხელისუფლებას – ათასობით ვიდეომტკიცებულება, მასობრივი წამების ფაქტები, ეს ფაქტები გაანადგურეს. ამას დაამატეთ 27 ათასზე მეტი საჩივარი, რომელიც პროკურატურაშია შეტანილი. არ დაგავიწყდეთ, ეს საჩივრები „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა და წევრთა წინააღმდეგ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე თვეში შევიდა მთავარ პროკურატურაში“**

2012 წლის არჩევნების შემდეგ, „ნაციონალ“ დამნაშავეთა უმრავლესობამ საქართველო დატოვა, გაექცა მართლმსაჯულებას, რადგან თავად კარგად იცოდნენ, რა საშინელებები ჰქონდათ ჩადენილი, ფიქრობდნენ, რომ ახალი ხელისუფლება მათ პასუხს მოსთხოვდა და დამსახურებულ სასჯელსაც მიიღებდნენ. თუ „ნაცმოძრაობის“ ყველა დამნაშავე ლიდერი გასამართლდებოდა, ცხადია, თავისთავად „ნაცმოძრაობის“, როგორც დამნაშავე ორგანიზაციის გასამართლება პრობლემა აღარ იქნებოდა და ეს პარტია აიკრძალებოდა. თუმცა, ხელისუფლება ასე არ მოიქცა. „ქართულმა ოცნებამ“ ერთი წელი ამ დამნაშავე პარტიასთან ერთად კოაბიტაციის რეჟიმში გაატარა და არც დღეს აპირებენ მის აკრძალვას, მთავარი დამნაშავეების დასჯას. მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმეები, ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენები, საკმარისი არ არის. „ნაცმოძრაობა“, ნაცვლად იმისა, რომ ხალხს ებოდიშებოდეს 9-წლიანი ჯოჯოხეთის გამო, აგერ, 15 ნოემბერს აქციაც კი გამართა და დღევანდელი ხელისუფლების გადადგომა მოითხოვა. ახია „ქართულ ოცნებაზე“, უარესის ღირსებიც ხართ და არც ის გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს, ამ მომაკვდავმა პარტიამ სული მოითქვას და მაგ სკამებიდან, მაგრად რომ ხართ ჩაბღაუჭებულნი, ამოგაძრონ, მოგისროლონ და ხელისუფლებას ისევ თავად დაეპატრონონ. ეს რევოლუციის გარეშე ვერ მოხდება, მაგრამ ეს გათავხედებული „ნაცები“ სწორედ რევოლუციითა და სამოქალაქო დაპირისპირების წყალობით ეშურებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას.

არსებობს „ნაცმოძრაობის“ თავიდან მოცილების ერთი გამოსავალიც – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, „ნაცმოძრაობა“ აორთქლდება ქართული პოლიტიკიდან. ერთი ფრაქციის შესაკრავი ხალხი თუ შეიყვანეს პარლამენტში, ამაზეც მადლობა უნდა თქვან. თუმცა, ამას ხელისუფლება ვერ აკეთებს – დასავლეთი ვერ გაგვიგებს, ვადამდელი არჩევნების ლეგიტიმურობას დასავლეთი ეჭვქვეშ დააყენებსო. კარგი, დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით, ხელისუფლება ვერ მიდის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ არსებობს მეორე გამოსავალი – სასამართლო. „ნაცმოძრაობას“, როგორც პარტიას, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ამ დანაშაულთა დამტკიცება პრობლემა არ იქნება, ფაქტები ჯერაც სახეზეა, მათი არაადამიანური ქმედებების არაერთი მსხვერპლი ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და ყველა მათგანი თავად სააკაშვილის ან სხვა „ნაცლიდერთა“ ბრძანებით გააუბედურეს.



**„ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების დასჯა, ამ კრიმინალური პოლიტიკური პარტიის აკრძალვა დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო. მეტიც, ბიძინა ივანიშვილი ხალხს სწორედ ამას ჰპირდებოდა, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა. ხალხიც იმიტომ გაჰყვა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“. დიახ, ეს იყო ხალხის უმთავრესი მოთხოვნა**

თუნდაც არავინ არ ჩამჯდარიყო ციხეში, „ნაცმოძრაობა“ და მათი ლიდერები დამნაშავედ უნდა გამოცხადებულიყვნენ, მერე ამნისტია გამოეშვათ თუ უნდოდათ გაეთავისუფლებინათ. პარტიის წამყვან ფიგურებს აეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა და სახელმწიფო სამსახურებში მუშაობა. ასე მოიქცნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – ჩეხეთში, სლოვაკეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში... იქ მიიღეს ლუსტრაციის კანონი და ყველა იმ ადამიანს, კომპარტიის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „კორუფცია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ღვიძლი შვილი იყო“



თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს პასუხობს, რომლის თანახმადაც, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულია ის ქუჩები, რომელიც უკვე შეკეთდა.

„ჩვენ შეგვიძლია, წავიდეთ და ვნახოთ, რომ ეს არის ხელახლა გასაკეთებელი ქუჩები. დღეიდან ბიუჯეტი საჯაროა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ნახოს როგორ არის წარმოდგენილი თითოეული ქუჩა, იქ ჩასატარებელი სამუშაოები და მისი კვადრატულობა. მონიტორინგის განხორციელება არა მარტო მაჟორიტარ დეპუტატებს შეუძლიათ, არამედ საზოგადოებას. მინდა, დავამშვიდო ოპონენტები და ვუთხრა, რომ კორუფცია მათი ღვიძლი შვილი იყო და ამ მიმართებით ჩვენკენ ხელის გამოშვერა, მხოლოდ და მხოლოდ ტალახის სროლაა და ამ ბრალდებას ჩვენ არ მივიღებთ“, – აღნიშნა სამუშიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ჩემი შემცვლელი კანდიდატურა ჩემი მინისტრობის პერიოდში შეარჩიეს“



თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას თქმით, მისი გადაყენება წინასწარ იყო დადგმული.

„მთელი ეს კამპანია არის პოლიტიკურად მოტივირებული, რომ დაისვაროს შესაძლო და პოტენციური პოლიტიკური კონკურენტი მომავალი არჩევნების პერიოდში. მათ იცოდნენ, რომ მე ვაპირებდი ყრილობის ჩატარებას. ასევე, ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა პარტიის თავმჯდომარედ. მე ამას ვუკავშირებ ნაწილობრივ სამართალდამცავი სტრუქტურებისა და პროკურატურის გააქტიურებას. მე მართლაც მგონია, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი, ისევე როგორც შერჩეული იყო კანდიდატურა, რომელსაც მე უნდა შევეცვალე. ეს მაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქრო, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური იყო“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ყველა ლიდერს, ვინც სისტემას ემსახურებოდა, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ეს აკრძალვები შეეხო. „ნაცმოძრაობაც“ ასევე ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების მატარებელი იყო და ამიტომ უნდა აკრძალულიყო.

**— კიდევ ხომ ვერ გაიხსენებთ სხვა ფაქტებს, როცა კონკრეტული პარტიები აიკრძალა და რა საფუძველი დაედო აკრძალვას?**

– გერმანიის ნაცისტთა პარტია, ფრანკოსა და მუსოლინის ფაშისტური პარტიები აიკრძალა. 2-3 წლის წინათ საბერძნეთში აკრძალეს პოლიტიკური პარტია ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. „ნაცმოძრაობას“ კი ქვეყნის წინაშეც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და კაცობრიობის წინაშეც. გაიხსენეთ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ამასწინანდელი დასკვნა, სადაც გარკვევით წერია, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, წამებასა და სხვა ამ კატეგორიის დანაშაულებს ჰქონდა ადგილი.



**„ახლა პროკურატურა მარტო „ნაციონალთა“ დანაშაულებს ხომ ვერ გამოიძიებს? სხვა, ძველი საქმეებიც არის იქ და ახალი დანაშაულებიც ხომ ხდება? ესეც გამოსაძიებელია და ამდენი რესურსი არ არის პროკურატურაში. „ნაციონალებივით“ ერთი ხელის მოსმით და მტკიცებულებების გარეშე არ ხდება ამ საქმეების გამოძიება, ესეც წინგადადგმული ნაბიჯია“**

**„ალია“ შეეცადა, „ქართული ოცნების“ იმ ლიდერებთან დაკავშირებას, რომლებიც 2012 წლის არჩევნების წინ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას ჰპირდებოდნენ ხალხს. ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს გუბაზ სანიკიძემ, ზვიად ძიძიგურმა, მანანა კობახიძემ, ბიძინა გუჯაბიძემ და გოგი ქავთარაძემ. მათ შემდეგი შინაარსის „მესიჯიც“ გავუგზავნეთ: „ლევან ჯავახიშვილი გაწუხებთ გაზეთ „ალიადან“. თქვენთან მაქვს კითხვები. კერძოდ, მაინტერესებს, რატომ არაფერი არ კეთდება „ნაცმოძრაობის“, როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალის დასასჯელად და ასაკრძალად“. მაგრამ არც ამის შემდეგ უპასუხეს ჩვენს ზარებს. ნუკრი ქანთარიას კი ორივე ნომერი გამორთული ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, დეპუტატი გიგა ბუკია მოვიხელთე. თუმცა, საუბრის დასაწყისში გამაფრთხილა, ბორჯომის ხეობიდან მოვდივარ, აქ ცუდად იჭერს მობილური და შესაძლოა, კავშირი გაწყდესო.**

**— ბატონო გიგა, პირადად თქვენი და თქვენი თანამებრძოლების მთავარი წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. ხალხს ჰპირდებოდით, რომ დამნაშავე „ნაცმოძრაობას“, მათ ლიდერებს გაასამართლებდით და მერე ამ პარტიას აკრძალავდით.**

– აკრძალავდით? პარტიის აკრძალვა დანაპირები იყო?

**— კი, ინტერნეტი სავსეა თქვენი და თქვენი თანამებრძოლების ამგვარი განცხადებებით.**

– პარტიის აკრძალვაზე სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას.

**— გასაგებია, მაგრამ დამნაშავე რეჟიმად აცხადებდით სააკაშვილის ხელისუფლებას, „ნაცმოძრაობას“ დამნაშავე პარტიად და ამ დანაშაულთა დამადასტურებელი ფაქტი უამრავია. სწორედ, რეჟიმის გასამართლებასა და „ნაცმოძრაობის“ აკრძალვას ჰპირდებოდით ხალხს ამ დანაშაულთა საფუძველზე.**

– რა თქმა უნდა, რეჟიმში ვგულისხმობდით იმ აღმასრულებელ ორგანოებს, რომელნიც სჩადიოდნენ კონკრეტულ დანაშაულს. თქვენ ხედავთ, რომ, ფაქტობრივად, მიმდინარეობს, ყველა იმ დანაშაულის გამოძიება, რაც წარსულში მოხდა. რამდენიმე მაღალჩინოსანი ყოფილი ხელისუფლებისა დაკავებულია, ზოგს უკვე მსჯავრიც დასდეს. „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეზე საქმეებია აღძრული და გენერალური მდივანი, ვანო მერაბიშვილი კონკრეტული დანაშაულისთვის გასამართლდა. პროცესი მიდის სამართლებრივ ჩარჩოებში და ის მივა ბოლომდე. ჩვენ გვქონდა მეორე არჩევანი – იმავე გზით დაგვესაჯა „ნაციონალები“, იმავე მეთოდებით, როგორც თავად სჯიდნენ ხალხს, თუნდაც ჩვენ, როცა ოპოზიციაში ვიყავით – უსამართლოდ და უკანონოდ. მაგრამ ჩვენ სასამართლოს ჯიბეში ჩადებაზე უარი ვთქვით, პროკურატურაც დამოუკიდებელია და ახლა, სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების გარეშე, ვერავინ დაისჯება. შესაძლოა, ეს ბევრს არ სიამოვნებს, მაგრამ ეს რეალობაა. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას. ეს პროცესი 2012 წლის 1-ლი ოქტომბრიდან დაიწყო, როცა ჩვენმა ხელისუფლებამ ყველა იმ უკანონობაზე თქვა უარი, რომელთა მეშვეობითაც „ნაციონალები“ მართავდნენ ქვეყანას. სამართალი ურმით დადის, მაგრამ მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, ყველა დამნაშავეს მიადგება კარზე, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობა ეკავა ადრე ხელისუფლებაში.

**— ძალიან ნელა დადის ეგ თქვენი სამართალი, ბატონო გიგა. დაახლოებით 6 თვეში 27 ათასი საჩივარი შევიდა „ნაციონალთა“ წინააღმდეგ პროკურატურაში და უმცირესი ნაწილიც კი არ არის გამოძიებული, სამართლიანობა არ აღდგა ათასობით მოქალაქისთვის და დამნაშავენი ქუჩაში დადიან კი არა, თქვენს ხელისუფლებას დამხობით ემუქრებიან.**

– მე მეტსაც გეტყვით, წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ 52 ათასი საჩივარი შევიდა პროკურატურაში. რამდენი პროკურორია ამ ქვეყანაში? ამ საქმეების მარტო სათაურების წაკითხვას, დათვალეთ ერთი, რამდენი დრო დასჭირდება. ახლა პროკურატურა მარტო „ნაციონალთა“ დანაშაულებს ხომ ვერ გამოიძიებს? სხვა, ძველი საქმეებიც არის იქ და ახალი დანაშაულებიც ხომ ხდება? ესეც გამოსაძიებელია და ამდენი რესურსი არ არის პროკურატურაში. „ნაციონალებივით“ ერთი ხელის მოსმით და მტკიცებულებების გარეშე არ ხდება ამ საქმეების გამოძიება, ესეც წინგადადგმული ნაბიჯია.

**— ეგ გასაგებია, მაგრამ 2 წელიწადში, მარტო 2 მთავარ „ნაციონალ“ დამნაშავეს აქვს შეფარდებული სასჯელი — ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას. ამის ფონზე, კეზერაშვილი ვერ ჩამოიყვანა ჩვენმა პროკურატურამ, ვერც დათა ახალაია ჩამოიყვანა, ზურაბ ადეიშვილი და სხვები წყნარად სხედან ევროპის ქვეყნებში და იქიდან ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან.**

– კაცო, ბინ ლადენის პოვნას დაახლოებით 12 წელი მოანდომა ამერიკამ, იგივე ამერიკა ვერ ახერხებს ზოგჯერ პატიმრების უცხო ქვეყნებიდან ექსტრადიციას. საქართველოში ვცხოვრობთ, ამ რესურსით მეტის გაკეთება ვერ ხერხდება.

**— ამერიკა ყველა რესურსს იყენებს, ჩვენგან განსხვავებით.**

– ჩვენი ხელისუფლებაც არ ზოგავს თავს, უამრავი გამოწვევა აქვს ამ ხელისუფლებას. სამართლიანობის აღდგენა არ ნიშნავს მარტო ძველი დანაშაულების გამოძიებას, დღეს რომ საქართველოს მოქალაქეებს არ ეშინიათ ხელისუფლებისგან უკანონობისა, ესეც სამართლიანობის აღდგენაა. ჩვენ თუ ვიქნებით მხოლოდ იმაზე ორიენტირებულნი, რომ ვიღაცა დავსაჯოთ, ყური მოვაჭრათ და ჩამოვახრჩოთ, ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა.

**— არავის ჩამოხრჩობას არ გთხოვთ არავინ, ვინც დასასჯელია, დასაჯეთ ის ხალხი, ამ დანაშაულთა საფუძველზე აკრძალეთ „ნაცმოძრაობა“, როგორც დამნაშავე სისტემის შემქმნელი პარტია, ხალხს სწორედ ამას ჰპირდებოდით საპარლამენტო არჩევნებამდე.**

– მესმის, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს სასამართლომ.

**— მეც მესმის, მაგრამ პოლიტიკური ნება არ ჩანს, რომ ეს დამნაშავენი დაისაჯონ. თავად ბრძანეთ, 52 ათასი განცხადებაა შესული პროკურატურაში „ნაციონალთა“ წინააღმდეგო. აი, ვინც ყველაზე დიდი დამნაშავენი არიან, მათ წინააღმდეგ რომ საჩივრებია, პირველ რიგში ისინი უნდა გამოიძიოს პროკურატურამ.**

– არა, ეგ უკვე შერჩევითი სამართლიანობა იქნება.

**— რანაირად იქნება შერჩევითი სამართალი, როცა სახეზეა მათი დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები?**

– გიმეორებთ, სამართლიანობის აღდგენა მარტო დამნაშავეთა დასჯა არ არის, ხალხს უდანაშაულოდ რომ არ სჯიან, ესეც სამართლიანობის აღდგენაა...

**ამ დროს გიგა ბუკიას მობილური ტელეფონი გაითიშა და საუბრის გაგრძელება ვერ შევძელით. მაინტერესებდა, უმრავლესობაში თუ მოიძებნება ვინმე, ვისაც „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების საკითხი წამოუწევია. რამდენჯერმე დავურეკე, მაგრამ მომსახურების ზონიდან იყო გასული.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

**„თუნდაც არავინ არ ჩამჯდარიყო ციხეში, „ნაცმოძრაობა“ და მათი ლიდერები დამნაშავედ უნდა გამოცხადებულიყვნენ, მერე ამნისტია გამოეშვათ, თუ უნდოდათ გაეთავისუფლებინათ. პარტიის წამყვან ფიგურებს აეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა და სახელმწიფო სამსახურებში მუშაობა. ასე მოიქცნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — ჩეხეთში, სლოვაკეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში... იქ მიიღეს ლუსტრაციის კანონი და ყველა იმ ადამიანს, კომპარტიის ყველა ლიდერს, ვინც სისტემას ემსახურებოდა, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ეს აკრძალვები შეეხო. „ნაცმოძრაობაც“ ასევე ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების მატარებელი იყო და ამიტომ უნდა აკრძალულიყო“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## მაღალშემოსავლიანი ოჯახები კომუნალურ ვაუჩერს ვეღარ მიიღებენ



მომავალი წლის ნოემბრიდან თბილისის მერიას კომუნალური ვაუჩერის გაცემის ახალი წესი ექნება, თბილისის მერის მოადგილის გიორგი ხელაიას განცხადებით:

„მავნე პრაქტიკა იყო, ყველა იღებდა ამ ვაუჩერს. ჩვენ ვაპირებთ, გადავხედოთ ბაზებს და მოვახდინოთ სამართლიანობის აღდგენა. კომუნალური ვაუჩერი მხოლოდ იმ ადამიანებს უნდა ეძლეოდეთ, რომელთა შემოსავალი არის დაბალი და არა ბიზნესმენებსა და იმ პირებს, ვისაც მაღალი შემოსავლები აქვთ. ამიტომ ჩვენ ჯანდაცვის სამინისტროდან გამოვითხოვთ სპეციალურ ბაზებს, მომავალი წლის ნოემბერში ჩვენ გავაკეთებთ ახალ მექანიზმს, რომელიც უსამართლობას გამორიცხავს. რაც შეეხება მომავალი წლის პირველ სამ თვეს ყველა ოჯახი მიიღებს თვეში 20-20-ლარიან კომუნალურ ვაუჩერს“, – აღნიშნა ხელაიამ. (ინტერპრესნიუსი)



## კვიციანის გასათავისუფლებლად ხელისუფლებას ვადას 1-ელ დეკემბრამდე აძლევენ

კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისთან ემზარ კვიციანის მხარდამჭერების საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას პირველ დეკემბრამდე მისცეს ვადა ემზარ კვიციანის განთავისუფლებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ. მათივე თქმით, ეს აქციები უფრო რადიკალურ ფორმებს მიიღებს.

როგორც კვიციანის მხარდამჭერებმა განაცხადეს, ემზარ კვიციანი არის უდანაშაულო და ის პოლიტპატიმარია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მომისმენს უკანონოდ — შსს, კერძო კომპანია თუ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები“



ფარულ მოსმენებზე წვდომის „გასაღების“ საკითხს პარლამენტში უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ეხმაურება. რომელსაც ამ დროისთვის გადაწყვეტილი არა აქვს, საკითხის კენჭისყრაზე გატანისას რომელ ვარიანტს დაუჭერს მხარს.

„ჩვენ დრო იმაზე კი არ უნდა ვხარჯოთ, ვის ხელში იქნება ე.წ. გასაღები, არამედ მსჯელობის საგანი უნდა იყოს ის, რომ ვის ხელშიც არ უნდა იყოს „გასაღები“, ფარულ მოსმენებზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მომისმენს უკანონოდ – შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა სტრუქტურა, კერძო კომპანია, თუ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და შემდეგ რომელი მათგანი გამოაქვეყნებს უკანონო მოსმენის შედეგად მოპოვებულ მასალას რომელიმე სოციალურ ქსელში?“ – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




საწარმოებს და მოიყვანდნენ პროდუქტებს. ასევე, ერთი ამბავი ატეხა კახა ოქრიაშვილმა, როცა ფარმაცევტულ მონოპოლიას დაემუქრა საშიშროება, ის გამოვარდა პარლამენტში და ეგრევე დაიწყო ამ საკითხის ლობირება. ეს ყველაფერი საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ ისინი ჩამოშორდნენ საპარლამენტო საქმიანობას. ამ ადამიანების საქმიანობა თავიდან ბოლომდე არის უკანონო.

დღეს პარლამენტში ზის „პე-ეს-პე“-ს მეპატრონე, რომელიც შეუერთდა უმრავლესობას, გახდა „ქართული ოცნების“ სახე და აგრძელებს ქართველი ხალხის ძარცვას. ეს ადამიანი იყო სააკაშვილის ბანაკში, აფინანსებდა „ნაცბანდას“ და ახლა გადმოინაცვლა ბიძინა ივანიშვილის ბანაკში. ასეთი მონოპოლია არ არსებობს არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. დღეს რაც პარლამენტში ხდება, ეს უკვე აღარ არის საკანონმდებლო ორგანო, ეს არის საკანონმდებლო მაფია.

**— გიორგი, იქნებ კონკრეტულად დამისახელოთ, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს გარდა, სხვა რომელ საერთაშორისო ორგანიზაციებში აგზავნით მასალებს, ვის შეუძლია, რომ ზეწოლა მოახდინოს საქართველოს პარლამენტზე?**

– კონკრეტულად ამ მასალებს გადავცემთ საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს, ძირითადად ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებს და ამერიკის საელჩოს, რათა მათ გადასცენ თავიანთი ქვეყნების ხელმძღვანელებს. ვინაიდან ახლა ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია მიდის, ევროკავშირს გარკვეუ-

# ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით მილიონერებს პარლამენტიდან და მთავრობიდან გაყრიან

**უახლოეს ხანში „ლეიბორისტები“ აქციებს იწყებენ იმ მილიონერი დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებიც პარლამენტში სხედან, საკუთარ ბიზნესებს ლობირებენ და შესაბამის კანონებსაც იღებენ. როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი გუგავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, აქციები გაიმართება ბიზნესმენ-დეპუტატების სასახლეებთან და მათ ე.წ. საწარმოებთან:**

– ჩვენ გავმართავთ აქციებს მილიონერი დეპუტატების წინააღმდეგ. ჩვენ ვითხოვთ, რომ მათ შეუწყდეთ სადეპუტატო უფლებამოსილება. თუ ამას პარლამენტი არ განახორციელებს, ჩვენ მივმართავთ ევროკავშირსა და ევროსაბჭოს. რათა მოახდინონ ზეწოლა. არ შეიძლება, პარლამენტში ისხდნენ ადამიანები, რომლებიც დაკავებულები არიან მხოლოდ საკუთარი ბიზნესების ლობირებით, გადაფოფრილები არიან საკუთარ ქონებაზე და იღებენ თავიანთთვის სასურველ კანონებს. ჩვენ ასევე ვაპირებთ, ვამხილოთ ისინი ინდივიდუალურად და გავმართოთ აქციები მათ სახლებთან. სანამ მილიონერთა ეს ბანდა ხელისუფლებას არ ჩამოსცილდება, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

**— გიორგი, ერთია ზეპირი საუბარი და მეორეა — დოკუმენტების დადება. თუ თქვენ მიმართავთ ევროკავშირს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაშინ მოგიწევთ ამ ყველაფრის დასაბუთება. არც ის დაგვავიწყდეს, მილიონერ დეპუტატებს თავიანთი ბიზნესები სიდედრებზე, სიმამრებზე, ცოლისდებსა და სხვა ნათესავებზე აქვთ გადაფორმებული.**

– კი, აბსოლუტურად გეთანხმებით, ჩვენ დოკუმენტებიც გვაქვს, მაგრამ თქვენ რატომ გგონიათ, რომ ესენი რამეს მალავენ? ამ დეპუტატებს ქონებრივ დეკლარაციებში უწერიათ, რა ბიზნესებს ფლობენ. შეიძლება ფორმალურად თანამდებობებს არ იკავებენ ამა თუ იმ კორპორაციებში, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს.

ამას წინათ გოგი თოფაძე გამოვიდა და განაცხადა, იაფი კრედიტის სახით 7 მილიონი ლარი ავიღე, ამით უნდა განვავითარო სოფლის მეურნეობაო. წესით, ეს თანხა უნდა გაცემულიყო ფერმერებსა და ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც მოაწყობდნენ

**„ამას წინათ გოგი თოფაძე გამოვიდა და განაცხადა, იაფი კრედიტის სახით 7 მილიონი ლარი ავიღე, ამით უნდა განვავითარო სოფლის მეურნეობაო. წესით, ეს თანხა უნდა გაცემულიყო ფერმერებზე და ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც მოაწყობდნენ საწარმოებს და მოიყვანდნენ პროდუქტებს“**



გაგრძელება მე-6 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



## „შსს-ს ფარულ მოსმენებზე წვდომის უფლება ყველა შემთხვევაში ექნება“

ფარულ მოსმენებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომის უფლება ყველა შემთხვევაში ექნება, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა ე.წ. გასაღები მის ხელში, – აცხადებს ექსპერტი ლევან ალაფიშვილი.

„რეალურად ეს დისკუსია როგორც არ უნდა მოგვარდეს, ფარული მოსმენების ლეგიტიმური საშუალება კვლავ ხელისუფლების ხელში რჩება. ავიღოთ კონტრდაზვერვითი საქმიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონები, სადაც წერია, რომ ფარული მიყურადება და მსგავსი საქმიანობები, არათუ სასამართლოს კონტროლს არ ექვემდებარება, არამედ არ ექვემდებარება არც პროკურატურის ეფექტურ ზედამხედველობას. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ საპროკურორო ზედამხედველობას, ექვემდებარება უსაფრთხოების სამსახურის მხოლოდ საგამოძიებო საქმიანობის ნაწილი. გაახსენდა რომელიმე კანონმდებელს, რომ ეს ნორმები არსებობს ჩვენს კანონებში? ვის ხელშიც არ უნდა იყოს ე.წ. გასაღები, საკანონმდებლო დონეზე უკანონო მოსმენების საფრთხე კვლავ რჩება. ახლა მსჯელობა მიდის ე.წ. გასაღებზე, ანუ სისხლის სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში სანქცირება და აღსრულება როგორ მოხდება და ვის ხელში იქნება გასაღები. თუმცა სპეცსამსახურებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საქმეებში საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურისა თუ კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონები ამ ყველაფრის ეფექტური კონტროლის გარეშე განხორციელების საშუალებას ითვალისწინებს. კომპლექსურად უნდა განვიხილოთ ეს ყველაფერი. ჩვენთან კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია და ძალოვან უწყებებს აძლევს ფარული მოსმენების სუბიექტურად თუ ბოროტად გამოყენების საშუალებას, ისევე როგორც სისტემურად არ არის დაცული შეცდომისგან“, – ამბობს ალაფიშვილი.

(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პოლიციელებმა მუსიკოსის ინსტრუმენტი საშიშ ნივთად მიიჩნიეს და ჩამოართვეს




მომღერალი და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პიარმენეჯერი დავით გოგოლაშვილი სოციალურ ქსელში პოლიციელებისადმი შეთავაზებას აკეთებს და მათ მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ მასტერკლასის ჩატარებას სთავაზობს. ამ შეთავაზების მიზეზი კი გახდა შემთხვევა, რომელიც 19 ნოემბერს მოხდა და რომლის მონაწილეც გოგოლაშვილის თანამშრომელი, ერთ-ერთი მუსიკოსი გახდა.

„შსს თანამშრომლებმა, ბოცვაძის (ვერა) ქუჩაზე გააჩერეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელი, ცნობილი ფოლკლორული ანსამბლის წევრი გაჩხრიკეს და აღმოუჩინეს კამერტონი, მიუხედავად განმარტებისა, მათ კამერტონი საშიშ ნივთად მიიჩნიეს და ჩამოართვეს. უხერხულია მდიდარი ფოლკლორული და სასიმღერო ტრადიციების მქონე ქვეყანაში, ამოწმებდე მუსიკოსს და ართმევდე პროფესიულ ინსტრუმენტს.

დაკითხვა-გაჩხრეკის შემდეგ დააპირეს აქტის შედგენა, შედეგად ჩვენმა კოლეგამ დაუტოვა „საშიში“ კამერტონი პოლიციელებს და დაემშვიდობა.

მზად ვართ, დრო დავუთმოთ ე.წ. ოპერებს და ზოგადი ინფორმაცია მივაწოდოთ მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ, ჩავუტაროთ მასტერკლასი. ულრმესი პატივისცემით – მე“, – წერს გოგოლაშვილი. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ლი მოთხოვნები აქვს ჩვენ მიმართ და სწორედ ამას ვუმიზნებთ. ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ ასოცირების ხელშეკრულების პრინციპებს, რათა მილიონერთა კასტა საქართველოს პარლამენტიდან გამოვაძევოთ.

**— როდესაც ამ თემაზე ჩვენ ორშაბათის „ქრონიკაში“ თქვენი ინტერვიუ გამოვაქვეყნეთ, ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომელიმე ბიზნესმენ-დეპუტატი ხომ არ შეგხმიანებიათ?**

– არა, არავინ შემხმიანებია, ეგენი თავიანთ დანაშაულს არასოდეს აღიარებენ.

საინტერესოა, რა წერია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში ისეთი, რაც „ლეიბორისტების“ პოზიციას გაამაგრებს და მილიონერ დეპუტატებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს? მართალია, აქ კონკრეტულად პარლამენტარებზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ხელშეკრულების მე-3 ოქმში განმარტებულია, რას ნიშნავს პასიური კორუფცია, რომელიც ზედმიწევნით მიესადაგება ჩვენი დეპუტატების დღევანდელ მდგომარეობას:

„მუხლი 4. პასიური კორუფცია ნიშნავს, როგორც თანამდებობის პირის მიზანმიმართულ მოქმედებას, რომელიც პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, ითხოვს ან იღებს რაიმე სახის უპირატესობას საკუთრივ თავისთვის ან მესამე მხარისთვის, ან იღებს დაპირებას ამგვარი უპირატესობის შესახებ, იმოქმედოს ან თავი შეიკავოს თავისი მოვალეობების შესაბამისად მოქმედებისგან ან თავი აარიდოს მისი ფუნქციების შესრულებას, თავისი ოფიციალური მოვალეობების დარღვევით, რაც ზიანს აყენებს ან, სავარაუდოდ, მიაყენებს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს“.

აქვეა განმარტებული, რას ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტი ევროპულად:

„მუხლი 5. ინტერესთა კონფლიქტი ნიშნავს ნებისმიერ სიტუაციას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ეჭვი პერსონალის შესაძლებლობების მიმართ, რომ ის იმოქმედებს მიუკერძოებლად და ობიექტურად, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით: ოჯახი, ემოციური ცხოვრებისეული ასპექტები (მაგალითად, მეგობრობა, სასიყვარულო ურთიერთობები), პოლიტიკური თუ ეროვნული სიახლოვე, ეკონომიკური ინტერესი ან ნებისმიერი სხვა საერთო ინტერესი“.



**„ერთი ამბავი ატეხა კახა ოქრიაშვილმა, როცა ფარმაცევტულ მონოპოლიას დაემუქრა საშიშროება, ის გამოვარდა პარლამენტში და ეგრევე დაიწყო ამ საკითხის ლობირება. ეს ყველაფერი საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ ისინი ჩამოშორდნენ საპარლამენტო საქმიანობას. ამ ადამიანების საქმიანობა თავიდან ბოლომდე არის უკანონო“**

ამ განმარტებების მიხედვით, ჩვენი მილიონერი დეპუტატები ოფიციალურად არიან თუ არა ამა თუ იმ კომპანიებში გაფორმებულები, მაინც იკვეთება მათი მონაწილეობა პასიურ კორუფციაში და აქვეა ინტერესთა კონფლიქტიც. ჯერ ერთი, პასიური კორუფცია ნიშნავს, როგორც თანამდებობის პირის მიზანმიმართულ მოქმედებას, რომელიც პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, ითხოვს ან იღებს რაიმე სახის უპირატესობას საკუთრივ თავისთვის ან მესამე მხარისათვის (ანუ თუ ჩვენი მილიონერი დეპუტატები თავად არ მართავენ ბიზნესს, თუკი თავს იმართლებენ, რომ იურიდიულად არ არიან დაკავშირებულები თავიანთ ბიზნესთან, მაშინ აქ ჩნდება მესამე მხარე) და მეორეც – ევროკავშირის სტანდარტებით დეპუტატი არ უნდა მოქმედებდეს ოჯახური ინტერესებიდან გამომდინარე, მეგობრობით, სასიყვარულო ურთიერთობებით და ასე შემდეგ. მეტიც, აქვე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ თანამდებობის პირი არ უნდა იყენებდეს პოლიტიკურ თუ ეროვნულ სიახლოვეს და უნდა გამოირიცხოს როგორც ეკონომიკური, ისე სხვა რაიმე სახის ინტერესი. მაშ ასე, ახლა კი კიდევ ერთხელ ვნახოთ, წესით, ვინ უნდა „დააზარალოს“ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციამ: 1) დავით ბეჟუაშვილი – 1 მილიარდი დოლარი; 2) კობა ნაყოფია – 800 მილიონი; 3) გოგი თოფაძე – 600 მილიონი; 4) გოგი ლიპარტელიანი – 500 მილიონი; 5) ვალერი გელაშვილი – 400 მილიონი; 6) კახაბერ ოქრიაშვილი – 300 მილიონი; 7) გოდერძი ბუკია – 250 მილიონი; 8) ზურაბ ტყემალაძე – 200 მილიონი; 9) გოჩა ენუქიძე – 200 მილიონი; 10) ნაული ჯანაშია – 100 მილიონი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბრიუსელში, არც ერთ შეხვედრაზე თავდაცვის სამინისტროს საქმეებზე კითხვა არ დასმულა“



იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით დასავლელი პარტნიორების შეფასებებზე ისაუბრა.

„ევროკავშირში ჩვენი მართლაც წარმატებული ვიზიტის დროს ქალბატონმა მოგერინიმ შემაჯამებელი სიტყვის დროს თქვა – არანაირი აღქმა იმისა, რომ პროკურატურა ან რომელიმე სამართალდამცველი ორგანიზაცია გამოიყენება პოლიტიკური მიზნისთვის, არ უნდა არსებობდეს – ეს მართლაც ასე თქვა, მაგრამ შეხვედრების დროს საუბარი იყო ყოველთვის აღქმაზე. ორი წელია, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან გვესმის ეს სიტყვა, რომ „აღქმა“ არ უნდა არსებობდეს. პრემიერმა მათ შესთავაზა ნებისმიერი, მათ მიერ დასახელებული პირის ან პირების ვიზიტი საქართველოში, რომ სწორედ მათთან ერთად, მათი ვიზიტის ფარგლებში გაქარწყლდეს ის აღქმები, რის შესახებაც შეიძლება საუბრობდეს ოპოზიცია და ოპოზიცია, შეგახსენებთ, დღეს არიან „თავისუფალი დემოკრატებიც. მე ვიყავი ვიზიტის მონაწილე და გეუბნებით პირველწყაროს ინფორმაციას, რომ მხოლოდ აღქმაზე იყო საუბარი. ეს აღქმა უნდა გაიფანტოს. აღქმები არ მოდის ციდან, მათ არსებობას თავისი მიზეზები აქვს. იმას, რომ მოსამართლე დღეს არის გარე ზეწოლისგან დამოუკიდებელი, ვერავინ უარყოფს. დღეს პროკურატურა რეალურად არის თანასწორი დაცვის მხარისა. პრობლემა, რომელიც განაპირობებს აღქმას, მდგომარეობს შემდეგში – დღეს პროკურატურას სჭირდება უფრო მეტი პროფესიონალიზმი, ადვოკატებს, ზოგიერთის გარდა, სჭირდებათ უფრო მეტი მომზადება და უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მოსამართლეებსაც სჭირდებათ სერიოზული გადამზადება. ამ კონკრეტულ თემაზე ძალიან სერიოზული შეთავაზება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში და ითხოვა დახმარება, რომ ევროკავშირი ჩვენ დაგვეხმაროს, უფრო გავზარდოთ პროფესიონალიზმი იმ სამი ადამიანისა, ვინც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შექმნაში მონაწილეობს“, – განაცხადა წულუკიანმა. მისივე თქმით, თავდაცვის მაღალჩინოსნების საქმის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟისა „თავისუფალი დემოკრატების“ კოალიციიდან გასვლის გამო, ეს აღქმა ბრიუსელში არ დამძიმებულა.

„ბრიუსელში ეს განცდა დამძიმებული არ არის. აღქმაზე როცა იყო საუბარი, საუბარი იყო ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნების მიმართ მიმართულ სისხლის სამართლის საქმეებზე და თავდაცვის სამინისტროში აძღრული სისხლის სამართლის საქმეების გარშემო არც ერთ ამ შეხვედრაზე კითხვა არ დასმულა. საუბარი იყო ბატონი სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წარმომადგენლების მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე და რაც ადრე იყო, ახლაც ის მესიჯები მივიღეთ“, – აღნიშნა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## არალეგალი ქართველი მიგრანტები სამშობლოში დაბრუნდნენ



ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები ქართველი მიგრანტები სამშობლოში პარიზი-ვარშავა-თბილისის რეისით დაბრუნდნენ.

ლტოლვილთა სამინისტროს ცნობით, მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, დაბრუნებულ მიგრანტებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდა და მიგრანტების პირველადი ანკეტირება განახორციელეს, ასევე, სამინისტროში არსებული სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს, მათ შორის, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, სამედიცინო დახმარებაზე სიცოცხლისთვის საშიში, მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე მიგრანტებისთვის; დასაქმებასა და პროფესიულ მომზადება/გადამზადების ხელშეწყობაზე, მცირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობაზე იმ მიგრანტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები მიკრობიზნესის გრანტის გაცემაზე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



## კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ე.წ. გასაღები არ სურს

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ვახტანგ ხმალაძეს პასუხობს, რომელიც აცხადებს, რომ „გასაღები“ არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც მობილურ კომპანიებს არ უნდა ჰქონდეთ. ე.წ. გასაღებს ხმალაძე მარეგულირებელ კომისიას აძლევს.

„ეს არ ეხება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, თუ მაინცდამაინც სახელმწიფო სტრუქტურა უნდა იყოს ჩართული, ეს ეხება პერსონალური დაცვის ინსპექტორს. არც არასოდეს ყოფილა კანონით დაკისრებული ეს ფუნქცია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაზე და დღევანდელ კანონმდებლობაშიც ასეა“, – განაცხადა კახა ბექაურმა. (ნიუპოსტი)

## „ეს არის რუსეთის პასუხი საქართველოს ევროპულ ნაბიჯებზე“



აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ რუსეთთან შეთანხმების დოკუმენტის მხარდაჭერას ხელისუფლებიდან პაატა ზაქარეიშვილი გამოეხმაურა.

„ეს დოკუმენტი, ისევე როგორც ოთხმოცამდე დოკუმენტი, რომელსაც ხელი ეწერებოდა რუსეთსა და ე.წ. აფხაზეთის მთავრობის შორის 2008 წლის 17 სექტემბრის შემდეგ არის უკანონო. დოკუმენტის ტექსტში ჩაძიება უკვე ნიშნავს ამ დოკუმენტის აღიარებას. არსებითი ცვლილებები აფხაზეთთან მიმართულებით ხდება არა დღეს, არამედ 2008 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში, რუსეთის ყოველი ნაბიჯი არის მორიგი მცდელობა, მოახდინოს აფხაზეთის ანექსია. შესაბამისად, ეს არის რუსეთის რეაქცია საქართველოს ნაბიჯებზე, რომ მივემართებით ევროპისკენ და ევროპული ინსტიტუტებისკენ“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უჩა ნანუაშვილი საგანგებო მიმართვა მთავარ პროკურატურას



გლდანის მერვე დაწესებულებაში პატიმრების ცემის ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა განცხადება გააკეთა:

„მოვუწოდებ საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქმეზე დაუყოვნებლივ ჩატარდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება. მათ შორის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, დაიკითხონ დაზარალებულები და სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული ნომერ მერვე დაწესებულების ყველა თანამშრომელი.

ჩემ მიერ მიწოდებული მასალების, ასევე გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მერვე დაწესებულების ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც შესაძლოა, მონაწილეობდნენ მსჯავრდადებულთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობაში და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ პირთა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის მოთხოვნით“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# მურმან დუმბაძე: „საგანელიძემ უნდა იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება მას ძვირად დაუჯდება“

## რას არ აპატიებს დუმბაძე უმრავლესობის ლიდერს?

მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 12 დეპუტატი დატოვებს. თუკი დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებამ ისე უწია კოალიცია „ქართულ ოცნებას“, როგორც მისმა წყევლამ – „ნაციონალურ მოძრაობას“, წინ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გვქონია. ვინ შეიძლება იყოს ეს 12 ადამიანი? „ალიასთან“ საუბარში დუმბაძე აცხადებს, რომ ციფრი „12“ სიმბოლურად თქვა, შეიძლება ექვსმა ან უფრო მეტმა დეპუტატმა დატოვოს. რა მიზეზით შეიძლება დატოვონ კოალიცია „ქართული ოცნება“ დეპუტატებმა და ყველაზე მთავარი, ვინ შეიძლება მოვიაზროთ მათ შორის? რა თქმა უნდა, მურმან დუმბაძე კულუარულ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავს, თუმცა ჩვენთან საუბარში არც უარყოფს და არც ადასტურებს, რომ ეს დეპუტატები შეიძლება იყვნენ „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები და რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი. მიზეზად კი ის ასახელებს მონურ მორჩილებას, შეზღუდულ უფლებებს, კულუარულ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკაში უხეშ ჩარევებს სპეცსამსახურების მხრიდან. დუმბაძის და „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებები სპეცსამსახურებთან დაკავშირებით, თანხვედრია. ისინი ერთ ტონალობაში საუბრობენ და თუკი უკუქცევადი პროცესი დაიწყო და ჩვენ ვნახეთ, უმრავლესობიდან წამოსული დეპუტატების ნაკადი, ალბათ. ძალიან ბევრი სიურპრიზის წინაშე აღმოჩნდება ხელისუფლება.

„ალიასთან“ საუბარში მურმან დუმბაძე უფრო კონკრეტულად საუბრობს იმ მიზეზებზე, რაც კულისებში იხარშება და კოალიცია „ქართული ოცნების განაწყენებული დეპუტატები ჩუმ-ჩუმად საუბრობენ.

**აი, რას აცხადებს მურმან დუმბაძე:**

– კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, ვინც ძალიან განაწყენებული გახლავთ. ორი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა, რასაც ხალხს დაჰპირდა „ქართული ოცნება“, კოალიციაში არიან ადამიანები, ვისაც დამოუკიდებელი აზროვნება გააჩნიათ და ისინი არ ეგუებიან ამ უსამართლობას. შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დანაპირები იყო სამართლიანობის აღდგენა. დამისახელონ ერთი საკუთრება, ამ ორი წლის განმავლობაში ვის დაუბრუნდა, რომელ ბიზნესმენს ან მოქალაქეს აღუდგა სამართლიანობა, დაუბრუნდა ქონება, ან ფული ან წართმეული ბიზნესი? ასეთს ვერ დამისახელებენ იმიტომ, რომ არ არიან. თუ ჩვენ ვამბობდით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი მოქალაქეებს ართმევდა საკუთრებას, დამანახეთ დაბრუნებული საკუთრება სად არის? იმ ხელისუფლებამ თუ წაართვა, ეს ხელისუფლება არ აბრუნებს. ჩემთვის დანაშაულის სიმძიმის ტოლფასია ის, რაც ხდება სახელისუფლებო შტოებს შორის, თვითმმართველობის არჩევნებზე რაც მოხდა და შემდეგ ცენტრიდან მართვა, რაშიც პირდაპირ ჩარეულები არიან სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ეს უკვე ის თემაა, რომელზეც ცალკე დავილაპარაკებთ.

**— ის მაინც მითხარით, მიმანიშნეთ, დეპუტატები, რომლებიც კოალიციიდან გამოსვლას აპირებენ, ვინ არიან, პარტია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ თუ კოალიციის სუბიექტებს?**

– ესენი გახლავთ როგორც პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ასევე კოალიციის სუბიექტები, ცხადია, მაჟორიტარებიც არიან. კოალიციის წევრები არიან ძალიან განაწყენებულები და გაბრაზებული იმის გამოც, რაც „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის შემდეგ მოხდა, როცა „ნაციონალების“

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

**„მე ხელისუფლებას იმასაც ვაფრთხილებდი, „თავისუფალ დემოკრატებს“ თუ არ დაუკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, არ მისცემდნენ კომფორტს, ისინი დატოვებდნენ უმრავლესობას, ამას ბოლო სამი თვის განმავლობაში ვუდასტურებდი პრემიერ-მინისტრს, რომ ასე მოხდებოდა, როცა ჩვენ მნიშვნელოვან საკითხებზე კამათი გვქონდა ხოლმე და ასეც მოხდა“**



**„როცა შემოვიდა მოსმენების კანონპროექტი, რამდენჯერმე გადავავადეთ, 2015 წელს უნდა მიგვეღო კანონი, რასაც მხარი არ დავუჭირე და პრეზიდენტს მივმართე, რომ კანონპროექტისთვის ვეტო დაედო. უმრავლესობამ კი ამის გადავადებას დაუჭირა მხარი, მაგრამ საქართველოს მთავრობიდან მოვიდა სიგნალი, რომ ვეტოს დაძლევის საფრთხე ძალიან დიდი იყო, ამიტომ შეცვალეს გადაწყვეტილება და უმრავლესობის დეპუტატებმა გადავადებას აღარ დაუჭირეს მხარი. ეხლა ამის მერე თქვენ მეტყვით, რომ ეს უმრავლესობა თავისუფალი და დამოუკიდებელი დეპუტატებით არის დაკომპლექტებული? არ არის ასე. ეს პარლამენტი არის მართული, ასეთ შემთხვევაში ასეთი პარლამენტი ან იშლება, ან არადა, მას ძალიან ცუდი დასასრული ექნება“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „მენაშენეებისგან დევნილებისთვის ბინებს შევიძენთ“



მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, დევნილთა სამინისტრო ქართველი მენაშენეებისგან დევნილებისთვის ბინებს შეიძენს.

„გამოცხადდება კონკურსი. პირველ ეტაპზე მშენებარე სახლებს შევიძენთ, მეორე ეტაპზე ავამუშავებთ პროგრამას, რომელიც წლების წინათ გაჩერებული კორპუსების განახლებას შეეხება. კონკურსი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. პროექტი შეეხება მხოლოდ თბილისს. თბილისში მყოფ მენაშენეებს უფლება ექნებათ, ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღონ“, – განაცხადა სუბარმა.

მინისტრმა სოფლის სახლის პროექტზე და ახალი სოფლების მშენებლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს პროექტი მომავალი წლიდან დაიწყება.

„მას შემდეგ რაც ბოლო ერთ თვეში პროექტი გააქტიურდა, სოფელში სახლის შეძენის სურვილი 350-ამდე ადამიანმა გამოთქვა. 350-იდან უმეტესობის ყიდვა მოესწრება წლის ბოლომდე ან იანვარ-თებერვალში“ – განაცხადა სუბარმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### საზეიმოდ გახსნილი ჰიდროელექტროსადგური რამდენიმე დღეში მწყობრიდან გამოვიდა




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მდებარე ჰიდროელექტროსადგური „ბახვი 3“ მისი საზეიმო გახსნიდან რამდენიმე დღეში მწყობრიდან გამოვიდა და ფუნქციონირებას მომავალი წლის დასაწყისში, აპრილიდან გააგრძელებს.

ჰესი მწყობრიდან წყლის წნევამ გამოიყვანა, რომელმაც, თავის მხრივ, შიდა წყლის მილები დააზიანა. „ბახვი 3“ საზეიმოდ, ენერგეტიკის მინისტრმა მიმდინარე წელს გახსნა. მისი სიმძლავრე 10 მეგავატია. ჰესზე 30 ადამიანია დასაქმებული. (ნიუპოსტი)

### ალასანია და ბოკერია ჰალიფაქსის უსაფრთხოების ფორუმში მიიღებენ მონაწილეობას



კანადაში, ჰალიფაქსის 2014 წლის უსაფრთხოების ფორუმში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას გარდა, ეკა ტყეშელაშვილი, გიგა ბოკერია და დათო სიხარულიძე მიიღებენ მონაწილეობას.

უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო ფორუმი 21 ნოემბერს უკრაინა-რუსეთისა და პოსტსაბჭოთა რეგიონის ახალი დემოკრატიების თემაზე გაიმართება. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

შეყვანით გაზარდეს უმრავლესობა. „ნაცმოძრაობის" მაჟორიტარებს იმიტომ იღებ, რომ უმრავლესობა გადაარჩინო და მეორე მხრივ, უმრავლესობიდან მურმან დუმბაძე გააგდო, პოლიტიკური პროცესი ასეთ უკანონობას არ ითმენს, 12 „ნაციონალს" მიიღებ კოალიციაში? „ოცნების" 12 წევრი გავა. ამიტომაც, ეს ციფრი უფრო პირობითია, ვიდრე რეალური, მაგრამ მე ვამბობ, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობაში არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ორ ფრაქციასაც კი გააკეთებენ იმ შემთხვევაში, თუკი გავლენ უმრავლესობიდან. ჩემგან განსხვავებით ისინი ჯერჯერობით ამ საკითხზე ღიად ვერ საუბრობენ, მაგრამ, როცა ზღვრამდე მივლენ, ისინი აღარ გაჩერდებიან.

**— თქვენ აცხადებთ, რომ სპეცსამსახურები ერევიან პოლიტიკაში. შეგიძლიათ ფაქტი მითხრათ?**

– ბათუმის საკრებულო სპეცსამსახურის დაწერილი სიით დაკომპლექტდა. მაშინ რაღას ვედავებით სააკაშვილს? სპეცსამსახურებმა დაწერეს აჭარაში პარტიული სია, ისინი, ვინც „ქართული ოცნების" წინააღმდეგ იბრძოდნენ და „ნაციონალური მოძრაობის" აქტიური წევრები იყვნენ, „ოცნების" ხელისუფლებამ აჭარაში თანამდებობებზე დანიშნა. ყველაფერს ზღვარი აქვს. როცა თქვენ მკითხავთ, რატომ საუბრობთ ასე, თქვენი განცხადებები ხომ „ნაცმოძრაობის" წისქვილზე ასხამს წყალსო? ვინ ვისთან არის შეკრული, კი გამოჩნდა და ვინ დაასხა „ნაციონალების" წისქვილზე წყალი, ესეც დავინახეთ. ქართულმა ოცნებამ" უმრავლესობაში 12 ადამიანი შეიყვანა, ქედის მაჟორიტარი უმრავლესობის წევრია, ეს ხომ ნონსენსია. მე მესმის, რომ უმრავლესობა გამოიყენებს ყველაფერს შესანარჩუნებლად, მაგრამ უმრავლესობის წევრად დასმა „ნაციონალების", ვინც წლების განმავლობაში აფინანსებდნენ სააკაშვილის რეჟიმს და მურმან დუმბაძე გააგდო, ეს სად წერია?! იაშა შერვაშიძის უმრავლესობაში გადაყვანა, ნორმალურია?!. ამ პოლიტიკური ქმედებით ჩანს, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის გზა აღმოჩნდება ძალიან მოკლე. სხვათა შორის, მე ხელისუფლებას იმასაც ვაფრთხილებდი, „თავისუფალ დემოკრატებს" თუ არ დაუკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, არ მისცემდნენ კომფორტს, ისინი დატოვებდნენ უმრავლესობას, ამას ბოლო სამი თვის განმავლობაში ვუდასტურებდი პრემიერ-მინისტრს, რომ ასე მოხდებოდა, როცა ჩვენ მნიშვნელოვან საკითხებზე კამათი გვქონდა ხოლმე და ასეც მოხდა, „თავისუფალმა დემოკრატებმა" პირველებმა დატოვეს კოალიცია. ახლაც ვამბობ, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას" დიდი ჯგუფი დატოვებს.

**— თქვენ ამბობთ, რომ უმრავლესობის წევრებს აქვთ შეზღუდული თავისუფლება. ეს რაში გამოიხატება?**

– აი, მაგალითად, როცა შემოვიდა მოსმენების კანონპროექტი, რამდენჯერმე გადავავადეთ, 2015 წელს უნდა მიგვეღო კანონი, რასაც მხარი არ დავუჭირე და პრეზიდენტს მივმართე, რომ კანონპროექტისთვის ვეტო დაედო. უმრავლესობამ კი ამის გადავადებას დაუჭირა მხარი, მაგრამ საქართველოს მთავრობიდან მოვიდა სიგნალი, რომ ვეტოს დაძლევის საფრთხე ძალიან დიდი იყო, ამიტომ შეცვალეს გადაწყვეტილება და უმრავლესობის დეპუტატებმა გადავადებას აღარ დაუჭირეს მხარი. ეხლა ამის მერე თქვენ მეტყვით, რომ ეს უმრავლესობა თავისუფალი და დამოუკიდებელი დეპუტატებით არის დაკომპლექტებული? არ არის ასე. ეს პარლამენტი არის მართული, ასეთ შემთხვევაში ასეთი პარლამენტი ან იშლება, ან არადა, მას ძალიან ცუდი დასასრული ექნება.

**— კონკრეტულად ვისგან იმართება პარლამენტი?**

– მთავრობისგან, პრემიერისგან და ყოფილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან. მე ასე ვფიქრობ...



**„ბიძინა ივანიშვილს აქვს ძალიან დიდი ავტორიტეტი, ეს დასაფასებელია, რადგან დაიმსახურა. მაგრამ მისი ნებისმიერი წინადადება, შენიშვნა და აზრი, მისი კოალიციის ფრაქციაზე მისვლა და დაჯდომა, უკვე ნიშნავს ზეწოლას. ამიტომ, ბოლო წუთამდე მე ვიყავი კატეგორიული წინააღმდეგი, რომ ის წასულიყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, რადგან წავიდა, ქვეყანა უნდა მართოს ინსტიტუტებმა და კანონის უზენაესობამ. ეს არის ჩემი პრინციპი"**

**— რა ფორმით ერევა ბიძინა ივანიშვილი?**

– ბიძინა ივანიშვილს აქვს ძალიან დიდი ავტორიტეტი, ეს დასაფასებელია, რადგან დაიმსახურა. მაგრამ მისი ნებისმიერი წინადადება, შენიშვნა და აზრი, მისი კოალიციის ფრაქციაზე მისვლა და დაჯდომა, უკვე ნიშნავს ზეწოლას. ამიტომ, ბოლო წუთამდე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რომ ის წასულიყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, რადგან წავიდა, ქვეყანა უნდა მართოს ინსტიტუტებმა და კანონის უზენაესობამ. ეს არის ჩემი პრინციპი.

**— თუკი ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს, დატოვოს კოალიცია „ქართული ოცნება", თავს რატომ იკავებენ და განცხადებას რატომ არ აკეთებენ, ვინმეს შიში აქვთ? ნაბიჯს რატომ ვერ დგამენ?**

– შიშიც აქვთ და ხათრიც. სამწუხაროდ, საქართველოში ხათრის ინსტიტუტი უფრო მუშაობს, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტები. 1 ოქტომბრამდე ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ერთად ყოფნა მოუწია საერთო ამოცანების გადასაჭრელად, ფიქრობდნენ, რომ სიტუაცია დღესხვალ გამოსწორდებოდა, მაგრამ არ გამოსწორდა არაფერი. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია არჩევნების გამყალბებლების, „ნაცმოძრაობის" დამფინანსებლების უმრავლესობაში ჩაწერა. მაგალითად, შემიძლია ასეთი რამ გავაკეთო, აჭარის უზენაესი საბჭო 21 დეპუტატისგან შედგება, აქედან 8 „ნაციონალია", 13 კოალიციურ რეჟიმშია. მე რომ „ნაციონალს" შევეკრა, ერთ დღეში ყველა კომისიის თავმჯდომარეს გავათავისუფლებდი, მაგრამ ასეთი რყევებით განა ქვეყანა მოიგებს? რა უბედურებაა „ნაციონალების" უმრავლესობაში შეყვანა, განა საქართველოს პარლამენტმა ისეთი რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომ მე ქვეყნის წინააღმდეგ წავიდე? ერთ ახალაიას რომ იჭერ, მარტო ის იყო ქვეყნის დამანგრეველი?.. ახალაია რომ ჩამოდიოდა, იაშა შერვაშიძესთან რჩებოდა სახლში, დღეს კი გამოდის, რომ თურმე იაშა შერვაშიძე ყოფილა ქვეყნის გადამრჩენი და მურმან დუმბაძე – ქვეყნის მტერი. არ გამოვა ასე, ჩვენ არ გავჩერდებით, გამორიცხულია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ უმრავლესობაში ეს დეპუტატები დათო საგანელიძემ მიიყვანა, მაგრამ დათო საგანელიძემ უნდა იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება მას ძვირად დაუჯდება.



**„ერთ ახალაიას რომ იჭერ, მარტო ის იყო ქვეყნის დამანგრეველი?.. ახალაია რომ ჩამოდიოდა, იაშა შერვაშიძესთან რჩებოდა სახლში, დღეს კი გამოდის, რომ თურმე იაშა შერვაშიძე ყოფილა ქვეყნის გადამრჩენი და მურმან დუმბაძე – ქვეყნის მტერი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ უმრავლესობაში ეს დეპუტატები დათო საგანელიძემ მიიყვანა, მაგრამ დათო საგანელიძემ უნდა იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება მას ძვირად დაუჯდება"**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების სამხედრო ნაწილი

„აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" ხელშეკრულების პროექტის №6-7 დებულება სამხედრო თანამშრომლობას ეხება.

დებულება 6

1) თუ მხარეებიდან ერთ-ერთი დაექვემდებარება რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან აგრესიას (შეიარაღებული თავდასხმა), ეს ასევე განიხილება მეორე მხარეზე აგრესიადაც.

2) ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარის მიმართ აგრესიის (შეიარაღებული თავდასხმა) აქტის განხორციელების შემთხვევაში მეორე მხარე აღმოუჩენს მას აუცილებელ დახმარებას, სამხედრო დახმარების ჩათვლით, ასევე აღმოუჩენს მას დახმარებას მის ხელთ არსებული საშუალებებით გაეროს წესდების კოლექტიური თავდაცვის შესახებ 51-ე მუხლის გათვალისწინებით.

3) მიღებული ზომების შესახებ, ამ მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ გაეროს უშიშროების საბჭოს, ღონისძიებების გატარებისას მხარეებმა უნდა დაიცვან გაეროს შესაბამისი დებულებები.

დებულება 7

1) ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიმართ განხორციელებული აგრესიის მოსაგერიებლად მოლაპარაკების მხარეებმა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლისა უნდა შექმნან გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფება, რომელიც გამოყოფილი იქნება, როგორც აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ასევე რუსეთის შეიარაღებული ძალებისგან.

2) პირდაპირი აგრესიის საფრთხის პერიოდში, ასევე საომარი მდგომარეობის დროს გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების მეთაური ინიშნება რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი მოადგილე კი აფხაზეთის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.



აგრესიის გარდაუვალი საფრთხის შემთხვევაში, აგრესიის მოგერიებაში გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე მხარეთა გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების მოქმედების შეთანხმება ხდება აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან.

3) მშვიდობიანობის პერიოდში გაერთიანებულ სამხედრო დაჯგუფებაში შემავალ ერთეულების ორგანიზებას ახორციელებენ მხარეთა შეთანხმებით შექმნილი ოპერატიული ჯგუფის წარმომადგენლები.

4) გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შემადგენლობა, ჩამოყალიბების წესი, ფუნქციონირება, განხორციელება და აღსრულება, მისი მართვის წესი და პროცედურა განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით, რომელიც მხარეებმა უნდა მიიღონ არა უგვიანეს 6 თვისა აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სამი პოლიციელი ნარკოტიკის მოხმარების გამო დააკავეს



გალის რაიონში დე ფაქტო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი თანამშრომელი ნარკოტიკების მოხმარების გამო დააკავეს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაკავებულები მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. სამივე მათგანი დე ფაქტო შსს-ს გადაწყვეტილებით სამსახურიდან განთავისუფლდა. მათ 15 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების შემოწმება ნარკოტიკის მოხმარებაზე სოხუმში 19 ნოემბერს დაიწყო. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რისთვის ხვდება არასაპარლამენტო ოპოზიცია ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელს?

21 ნოემბერს არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელს ხვდებიან და სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით ინტერპარტიული ჯგუფის მიერ ჩატარებულ მუშაობის შედეგებს გააცნობენ.

რაზე შეთანხმდა არასაპარლამენტო ოპოზიცია? რის თქმას აპირებენ ევროსაბჭოს წარმომადგენლისთვის და რას ელიან მისგან?

„ალიას" ინტერპარტიული ჯგუფის წარმომადგენელი, „ქართული დასის" ლიდერი, **ჯონდი ბაღათურია** ესაუბრა:



**— რაზე შეთანხმდით ინტერფრაქციულ ჯგუფში?**

– ყველანი შევთანხმდით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, ესაა საარჩევნო სისტემის ცვლილება. არასაპარლამენტო პარტიები შევთანხმდით, რომ უნდა გაუქმდეს უკვე პარაზიტებად გადაქცეული მაჟორიტარი დეპუტატების ინსტიტუტი, რომელთა უმრავლესობაც, როგორც ფეოდალები, ისე სწოვენ სისხლს რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას. შევთანხმდით, რომ ამის ნაცვლად, უნდა შემოვიღოთ ერთიანი პროპორციული სია. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტია ამ სისტემის მიხედვით ზუსტად იმდენი მანდატით იქნება წარმოდგენილი არჩევნების შემდგომ, რამდენ პროცენტსაც ის არჩევნებში აიღებს. დღევანდელი სისტემა მანდატების ასეთი სამართლიანი გადანაწილების საშუალებას არ იძლევა.

უკლებლივ ყველა პარტიამ დაუჭირა ამას მხარი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმებაა, თუმცა ჩვენ სრულ შეთანხმებამდე კიდევ რამდენიმე ეტაპი დაგვჭირდება, სავარაუდოდ, სამ ეტაპს ვფიქრობთ, რომ გვექნება. ახლა ჩვენი ამოცანაა, საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე შიგნით სამოქალაქო სექტორის სწორი ინფორმირება მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით და ჩვენი მიზანია საბოლოოდ სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ სხვადასხვა საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შევხვდეთ და გავაცნოთ მუშა პროცესის ძირითადი მიმართულებები და ასევე, ის საკითხები, რომლებზეც შედგა შეთანხმება პოლიტიკურ პარტიებს შორის. პირველი შეხვედრა გაიმართება კატერინა ბოლონიეზესთან, რომელიც ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელია. ესეც ერთ-ერთი სტრატეგიული ოფისია, რომელთანაც გადავწყვიტეთ, საუბარი გვქონოდა საარჩევნო რეფორმებზე. ანუ, გავაცნობთ, ჩვენ როგორი ხედვა გვაქვს საარჩევნო რეფორმის ძირითად მიმართულებებზე და რა თქმა უნდა, მოვისმენთ მის აზრსაც.

**— გასაგებია, რომ გინდათ უცხოეთის მხარდაჭერა და მერე რა? ფიქრობთ ევროსაბჭო მოახდენს ზეწოლას ხელისუფლებაზე და მიაღებინებენ ამ ცვლილებებს?**

– არა, არა, შეხვედრის მთავარი მიზანი არის თემის აქტუალიზაცია და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების მიმართ. ჩვენ, გარდა ამისა, ვხვდებით ასევე შიგნით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, სადაც ასევე ამოცანა გვექნება, რომ საერთო აზრის ფორმირება მოხდეს.

**— და ხელისუფლებას როდის უნდა წარუდგინოთ ცვლილებები, იცით უკვე?**

– შემდეგი კვირის დასაწყისში უკვე წერილობით გადავუგზავნით ხელისუფლებას და ასევე, დავნიშნავთ შეხვედრას.

**— თუ არ მიიღო ხელისუფლებამ ეს თქვენი ცვლილებები, რას აპირებთ?**

– ყველა შესაძლო ვარიანტზე ახლა ხომ ვერ გავაკეთებ კომენტარს?

**— აბა, როგორი პოლიტიკოსი ხართ? წესით, თქვენ უნდა გქონდეთ წინასწარ გათვლილი რამდენიმე სვლა, ასე არაა?**

– გასაგებია... თუკი ხელისუფლება არ დაეთანხმება ამას, არსებული მოცემულობის მიხედვით გახდება ცნობილი, რა გზას ავირჩევთ. ახლა რომ ჩვენ ვილაპარაკოთ წინასწარ ამაზე, ეს არ იქნება ჩვენი მხრიდან კონსტრუქციული მიდგომა საკითხისადმი. ჯერჯერობით ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება უნდა დაგვეთანხმოს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენლად მიგვაჩნია შემდგომი განვითარება.

**— გიმეორებთ, ვაი და, არ მოგისმინათ ხელისუფლებამ?**

– (პაუზა) ოოოო... რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება.

**— შემდეგი საკითხი რა იქნება, რაზეც ინტერპარტიულ ჯგუფში აპირებთ მსჯელობას?**

– განხილვების შემდგომი საკითხი იქნება საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესის შეცვლა, რადგანაც დღევანდელი წესის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციაში ცამეტიდან თერთმეტი წევრი ჰყავს „ქართულ ოცნებას" და, დამეთანხმეთ, რომ ეს სრულიად არასამართლიანია და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო სიების ფორმირება. ამ ზემოჩამოთვლილ საკითხებზე ჩვენ ფრაგმენტული საუბრები გვქონდა, მაგრამ ჯერჯერობით რამე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განხილვა და პრეზენტაციები მუშა ვითარებაში არ გვქონია, ამიტომ ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია.




**— ხელისუფლებასთან შეხვედრის საკითხს მინდა დავუბრუნდე. ეს კოდექსი, სავსებით კომფორტულია ხელისუფლებისთვის და რატომ ხართ დაიმედებული, რომ რამეს შეცვლიან?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით: ეს არსებული საარჩევნო კანონმდებლობა იძლევა უშრომელი შემოსავლის შესანიშნავ შესაძლებლობას და ხელისუფლების უკანონოდ და უსამართლოდ შენარჩუნების საშუალებას, ამიტომ გვინდა, რომ ეს ყველაფერი შეიცვალოს, ჯერ შევხვდებით და შეცვლიან თუ არა, ამაზე მერე ვისაუბროთ. უნდა დავარწმუნოთ, რომ, თუ ევროპა გვინდა, ქვეყნისთვის მთავარია დემოკრატიული რეფორმების განხორციელება.

**— ვეჭვობ, გაგიჭირდებათ ამაში ხელისუფლების დარწმუნება.**

– ამიტომ ამისთვის უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივი აზრი. ამაში იგულისხმება ჩვენი საზოგადოების ინფორმირება და ერთიანი საზოგადოებრივი აზრის არსებობა, რასაც ასე ძალიან ვცდილობთ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



## უზენაესი სასამართლო ემზარ კვიციანის განაჩენთან დაკავშირებით გაკეთებულ შეფასებებს ეხმაურება

უზენაესი სასამართლო დაინტერესებულ პირებს სასამართლოზე ზეწოლის შემცველი განცხადებების გავრცელებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს:

„უზენაესი სასამართლო ეხმაურება სხვადასხვა მედიასაშუალებებში ემზარ კვიციანის განაჩენთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებებს და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ პირს, თავი შეიკავონ სასამართლოზე ზეწოლის შემცველი განცხადებების გავრცელებისგან.

2014 წლის 17 ნოემბერს, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა პროკურატურის მიერ ემზარ კვიციანისთვის წარდგენილი ბრალის შესახებ. კვიციანს ბრალად ედებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა, შეთქმულებასა და ამბოხში მონაწილეობა. წარმოდგენილი მასალების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. მათ შორის გახლდათ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადება, სადაც პარლამენტარი აცხადებს, რომ „საქმეში იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი, იყო საპროცესო დარღვევები, რომელიც წინა პერიოდში იყო ჩადენილი და საჭირო იყო ამ ფაქტების გადამოწმება. იმედი მაქვს, რომ სააპელაციო სასამართლო ყურადღებით განიხილავს ყველა იმ გარემოებასა და ფაქტს, რომელიც ამ საქმეშია და მიიღებს სამართლიან და ობიექტურ გადაწყვეტილებას".

სასამართლო შეახსენებს ქალბატონ ეკა ბესელიას და ამ საქმით დაინტერესებულ ყველა პირს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს წარმოდგენილი მასალების გამოკვლევის შემდეგ მხოლოდ კანონზე და მოსამართლის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით. ამ გადაწყვეტილების შემოწმება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის უფლებამოსილებაა და სააპელაციო სასამართლოს არავისგან არ სჭირდება მითითება, როგორ უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. ამიტომ, როცა პარლამენტარი ამბობს, რომ საქმეში იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი და მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებს სააპელაციო სასამართლოს, ეს უკვე არის სასამართლოზე ზეწოლის მცდელობა.

პარლამენტარი, პირველ რიგში, თავად უნდა იძლეოდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ პატივისცემის მაგალითს. სასამართლო ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ შეწყდება სააპელაციო სასამართლოს მისამართით ზეწოლის შემცველი განცხადებები და საზოგადოება და პოლიტიკოსები ერთად დაელოდებიან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას", – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთს არჩევანის წინაშე აყენებს



ეუთო-ს დამკვირვებლების განცხადებით, მიმდინარე კვირის განმავლობაში რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ათასობით ფორმიანი პირის გადასვლა დააფიქსირეს. ისინი 12 ნოემბრიდან კაზაკების ჯგუფების მიერ საზღვრის გადაკვეთაზეც საუბრობენ. პარალელურად, რუსეთის დუმამ მიიღო გადაწყვეტილება ყირიმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ.

რუსეთი არჩევანის წინაშე ნატო-ს გენერალურმა მდივანმაც დააყენა. იენს სტოლტენბერგის განცხადებით, მოსკოვი ან სამშვიდობო გზით უნდა წავიდეს ან სრული იზოლაციის გზით. (ნიუპოსტი)

# რას უყვება მინისტრის მოადგილე კახიშვილი „ალიას“ ციხის რეფორმაზე?



**12 ნოემბერს, სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში, პატიმრების ცემის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ გამოძიება უკვე დაიწყო. მთავარი პროკურატურის პარალელურად, საქმეს იძიებს სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციაც.**

**სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის, კახა კახიშვილის თქმით, გამოძიება აკრძალული ნივთის შენახვის ფაქტზე მიმდინარეობდა, თუმცა პატიმრის შესაძლო ცემის ფაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გამოძიება ამ საქმეზეც დაიწყო. კახიშვილი ასევე ამბობს, რომ სამინისტროში რეფორმები გატარდება.**

**„ალიას“ კახა კახიშვილი** ესაუბრა:

– სამინისტროში 12 ნოემბერს შემოვიდა შეტყობინება, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში აკრძალულ საგნები იყო აღმოჩენილი. ამ ფაქტზე გამოძიებაც დაიწყო. 12 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე ჩვენ სახალხო დამცველისგან არანაირი ინფორმაცია არ მიგვიღია. 19 ნოემბერს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ თურმე, 12 ნოემბერს, რაღაც ტიპის დაზიანებას ჰქონდა ადგილი. ჩვენს კითხვა – 12 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე, რატომ არ გახდა ეს ყველაფერი ჩვენთვის ცნობილი მაშინვე, როცა ეს გაიგეს, კითხვადვე დარჩა.

პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, იყო ის, რომ გენერალურ ინსპექციას დაეწყო საქმის შესწავლა, ამავდროულად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმე, რათა საზოგადოებას, გამოძიებასთან დაკავშირებით არ დარჩენოდა კითხვები. შიდა უწყებაში გამოძიებას რა ჭეშმარიტება უნდა დაედგინა, როცა ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავთ გამოძიებასაც და სასჯელაღსრულების დეპარტამენტსაც?! ამიტომაც პროკურატურამ წაიღო მასალები და როგორ განვითარდება მოვლენები, რას დაადგენს მთავარი საგამოძიებო უწყება, ამაზე ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი.

— **განაცხადეთ, რომ სერიოზული სისტემური რეფორმის გატარებას იწყებთ, რისთვისაც კანონში ცვლილებები შეგაქვთ. რას ცვლით კონკრეტულად?**

– რეფორმები შეეხება სისტემის სრულ გაჯანსაღებას. ცვლილება შევა კანონში, ასევე მიღებული იქნება სპეციალური კანონი, რომელიც დაარეგულირებს სისტემის საქმიანობას, რაც ერთხელ და სამუდამოდ შეგვაძლებინებს, რომ მივიღოთ არა, რაღაცა ტიპის დახურული სისტემა, არამედ ღია, მაგრამ ამავდროულად ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული სისტემა, ასევე იმ ვალდებულებებით აღჭურვილი სისტემა, რომ პატიმრებმა დაიცვან რეჟიმი.

— **მუდმივად იდგა პრობლემა სასჯელაღსრულების სისტემაში — ან ქურდები მართავდნენ სისტემას, ან ციხის თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილი არაადამიანური მოპყრობით იმართებოდა სისტემა 9 წლის განმავლობაში. თქვენ მიერ გატარებული რეფორმა ამ საკითხს წერტილს დაუსვამს?**

– დღეს ერთადერთი გამოსავალი დაგვრჩა, შევქმნათ იმ ტიპის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არც ქურდებმა მართონ ციხე და არც ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე მოხდეს სისტემის მართვა. აი, ამ ყველაფრის დასარეგულირებლად შეიცვლება ეს კანონები.

— **სანამ მინისტრის მოადგილედ დაინიშნებოდით, ყოველთვის აცხადებდით, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სიტუაციის გამწვავებას, „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი კადრები უწყობდნენ ხელს. ისაუბრეთ, რა უნდა შეიცვალოს პენიტენციურ სისტემაში, თუმცა, არ გიხსენებიათ საკადრო საკითხი...**

– მე რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, იმ რეფორმასთან შედარებით ამ საკითხის გადახედვა დღეს ძალიან უმნიშვნელოა. სისტემაში ორი-სამი კაცის გადაადგილებით სისტემა სახეს არ შეიცვლის, თუ სისტემური ცვლილება არ განხორციელდება. სისტემა რომ შეიცვალოს, ამისთვის აუცილებელია, რომ შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი და წარვუდგინოთ მთავრობას, შესაბამისად, პარლამენტს. ახლა, ჩვენ ამაზე უფრო ვართ ორიენტირებული, ვიდრე, რაღაცა ტიპის, ერთი-ორი ადამიანით განსაზღვრული საკადრო გადაადგილება. ის ცნობილი ჯალათებისგან, რომლებიც ამ სისტემას მართავდნენ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ექსმინისტრმა, სოზარ სუბარმა, სასჯელაღსრულების სისტემა მთლიანად გაათავისუფლა. თუ სადმე დარჩა ერთეული ასეთი თანამშრომელი, ამას საქმე გამოაჩენს და შესაბამისი პასუხი გაეცემათ. ამ ეტაპზე კი, როგორც გითხარით, სისტემური რეფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებების საკადრო სისტემაში ქექვა და ამ ადამიანების აღმოჩენა. მთავარია ის, რომ ის მთავარი ჯალათები არ მუშაობენ სისტემაში. ვმუშაობთ უკეთესობისთვის და ამ რეფორმის შედეგად მივიღებთ ნამდვილად, ევროპული ტიპის სასჯელაღსრულების სისტემას.



— **ასევე, არ გიხსენებიათ მოსალოდნელ ცვლილებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის შექმნის საკითხი, რომლის შექმნის იდეის მიმართაც, ახლო წარსულში დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდით...**

– საზოგადოებრივი მონიტორინგის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, თუმცა, დღევანდელობიდან გამომდინარე, ასეთ აზრზე ვარ – ამის გაკეთებისგან თავი უნდა შევიკავოთ, მაგრამ ზოგადად მსჯელობის საგანია ეს საკითხი, შეგვიძლია, განვიხილოთ სამომავლოდ, უბრალოდ დღეს და ხვალ არ არის სასურველი ამ თემის განხილვა პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ისე კი, სამინისტრო აბსოლუტურად ღიაა თანამშრომლობისთვის, როგორც სახალხო დამცველთან, ასევე, არასამთავრობო სექტორთან.

— **სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი, თქვენთან ერთად №8 დაწესებულებაში ერთად ვიზიტთან დაკავშირებით შეთავაზებას არ იღებს. მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მინისტრთან ან მინისტრის მოადგილესთან ერთად სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში ვიზიტს. რას იტყვით სახალხო დამცველის პოზიციაზე?**

– მე ჩავთვალე საჭიროდ, რომ ეს შეთავაზება გამეკეთებინა. ეს კარგი იქნებოდა საკითხში უფრო კარგად გარკვევისთვის. მაგრამ დამთანხმდებოდა თუ არა, ეს უკვე მისი პრეროგატივა იყო, ის უარზეა. ასევე, კარგი იქნებოდა, მარტოც მისულიყო და გასაუბრებოდა პატიმრებს. მივა თუ არა სახალხო დამცველი, ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

**»» დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...**



## ჯორჯ ბუში პუტინის დასამარცხებლად მსოფლიოს გაერთიანებისკენ მოუწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამერიკული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში, აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრობს.

ჯორჯ ბუში მიიჩნევს, რომ ვლადიმერ პუტინის დასამარცხებლად მთელი მსოფლიოს გაერთიანებაა საჭირო. ის მიიჩნევს, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს შემოიღო პუტინმა არსებული თამაშის წესები, რომლის მიხედვითაც, ერთი პოლიტიკოსის გამარჯვება, აუცილებლად ნიშნავს მეორე პოლიტიკოსის დამარცხებას.

„იმისთვის, რომ პუტინს გავუმკლავდეთ, საჭიროა მთელმა მსოფლიომ ერთად იმოქმედოს“, – აცხადებს ჯორჯ ბუში. (ნიუპოსტი)

## „გასაღების“ სასამართლოს ხელში გადასვლა რთულად წარმოსადგენია“



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის თქმით, ფარული მოსმენების ე.წ. გასაღების თემა რთული საკითხია.

„რთულად მესახება, რომ ადამიანი, რომელიც გასცემს ბრძანებას, რომ პროცესი იყოს განმახორციელებელი, სხვასთან ერთად აკონტროლებდეს ამ პროცესს. გაცემული ბრძანების შედეგად მიღებული მტკიცებულებები უკან უბრუნდება მოსამართლეს და ხელმეორედ უნდა განიხილოს სხდომის წარმართვის დროს. ამას ძალიან დიდი დაფიქრება სჭირდება და არა მხოლოდ მე, არამედ მთელი სასამართლო სისტემა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ალბათ, ვიმსჯელებთ ამაზე და დავაფიქსირებთ პოზიციას“, – განაცხადა კუბლაშვილმა. (ნიუპოსტი)

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...**

## „ეს მხოლოდ ემზარ კვიციანს არ ეხება, ეს ყველას გვეხება“



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ემზარ კვიციანის მხარდამჭერ აქციაზე სოლიდარობის ნიშნად მივიდა.

„სამართლის მაგივრად რომ უსამართლობა ზეიმობს, ამას გაპროტესტება სჭირდება და არა მხოლოდ ჩემგან და ემზარის ახლობლებისგან. ეს არ არის მხოლოდ ემზარის საქმე, ეს ყველას გვეხება“, – განაცხადა თევზაძემ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# მიშა ისეთი გამწარებული ყოფილა, ძლივს აწყნარებენ თურმე...

## რის გამო დაიძაბა ურთიერთობა სააკაშვილსა და ბოკერიას შორის?

**რით დაემუქრა მიხეილ სააკაშვილი თავისი პარტიის ლიდერებს? აპირებს თუ არა პარტიის დატოვებას? რამდენი მილიონი დაიხარჯა „ნაციონალების“ აქციაზე და ვინ არიან დამფინანსებლები? რას აპირებს „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილის გულის მოსაგებად?**

**„ალიას“ „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ანი დარსალია ესაუბრა:**

**— ანი, პირად საუბარში მითხარი, „ნაციონალებში“ საინტერესო ამბები ხდება, დეტალებს დავაზუსტებ და მოგიყვებიო. რა გაარკვიეთ?**

– „ნაციონალური მოძრაობა“, რომ ელოდებოდა აქციაზე დიდი რაოდენობით ხალხს, მაგრამ გეგმები ჩაეშალათ და აქციის მეორე დღეს, ბოკერია და ვაშაძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ეს გეცოდინებათ. ამის შემდეგ, მათ ოფისში სრული ქაოსია




„მათ ოფისში სრული ქაოსია და საქმეების გარჩევა გრძელდება. მიშას უთქვამს ამათთვის, მე თქვენ ფული იმიტომ მოგეცით, რომ დასავლეთისთვის მინდოდა მეჩვენებინა, რამდენი მხარდამჭერი გვყავდა, რომ მერე ფულიც წამოსულიყო და წყალობაცო. რატომ აიღეთ პასუხისმგებლობა, ამდენ და ამდენ ხალხს გამოვიყვანთო, თუ პირობის შესრულების თავი არ გქონდათო. აწი არც ფული იქნება და მეც შემარცხვინეთო“



და საქმეების გარჩევა გრძელდება. მიშას უთქვამს ამათთვის, მე თქვენ ფული იმიტომ მოგეცით, რომ დასავლეთისთვის მინდოდა მეჩვენებინა, რამდენი მხარდამჭერი გვყავდა, რომ მერე ფულიც წამოსულიყო და წყალობაცო. რატომ აიღეთ პასუხისმგებლობა, ამდენ და ამდენ ხალხს გამოვიყვანთო, თუ პირობის შესრულების თავი არ გქონდათო. აწი არც ფული იქნება და მეც შემარცხვინეთო. არც არავინ უცემიათ, ვერც პროვოკაციები დაგეგმეთ, თქვენ რა ხალხი ხართო. სააკაშვილს უნდოდა, დასავლეთისთვის ეჩვენებინა, როგორ იქცეოდა 2 წლის მანძილზე ხელისუფლება და როგორ აპროტესტებს ამას ხალხი, ამიტომ, თუ ნამდვილად სურდა დასავლეთს საქართველოში პროგრესი, უნდა დაყრდნობოდა მათ. ამიტომაც ასაღებდა 7 ათას ადამიანს ასი ათასად. საცოდავმა მიშამ, ამხელა პასუხისმგებლობა აიღო დასავლეთთან და ახლა დანდობა აღარ იქნება. ახლა ისეთი გამწარებული ყოფილა, ძლივს აწყნარებენ თურმე. ეს როგორ გამიბედეს, საკუთარმა გუნდმა მიღალატაო.

**— კონკრეტულად ვის უსაყვედურა სააკაშვილმა?**

– სააკაშვილმა ბოკერია-თარგამაძის გუნდს უსაყვედურა, რის შემდეგაც თავის გასამართლებლად, მათ თავის მხრივ ვაშაძე-მელიას გუნდთან მოუვიდათ უკმაყოფილება. უშუალოდ ყველაფრის დამგეგმავი და ფულის ხარჯვაზე პასუხისმგებელი იყო გიგა ბოკერია. ზუსტად ვიცი, რომ ბოკერიასა და სააკაშვილს ჰქონდათ ძალიან დაძაბული საუბარი.

**— რას აპირებს სააკაშვილი, ამის შესახებაც ხომ არ იცი?**

– ამ მარცხის შემდეგ ჟონავს ინფორმაცია, რომ შესაძლოა, პარტიაც დატოვოს. სააკაშვილი ისეთი ადამიანია, ამ მარცხის შემდეგ საკუთარი გუნდის წევრებს აღარ დაინდობს, მით უმეტეს, როცა ამ აქციის ჩაფლავებით მან დასავლეთის წყალობა დაკარგა და დამნაშავეები თუ არ გამოავლინა, როგორ გაიმართლოს თავი მათ წინაშე? მიშა ისეთია, ყოველთვის საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა და თავისი გუნდის წევრებიც ხშირად გაუწირავს. აპირებს, დაუყენოს მათ საკითხი და სავარაუდოდ, ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ განისვენებს. ნამდვილად მიმდინარეობს საუბრები პარტიაში, რომ მიშა ემზადები მკაცრი გადაწყვეტილებებისთვის.

როგორც გაირკვა, პარტიაში დაძაბული ურთიერთობა იმის გამოც ყოფილა, რომ, აქციისთვის გამოყოფილი ფულიდან ნაწილი გაქრა და ახლა „ნაცები“ ერთმანეთში არკვევენ, ვინ „მოტეხა“ ფული.

**— რა ფულის „მოტეხვის“ ამბავს არკვევენ, რა ფულზეა საუბარი?**

– ეს ის ფულია, რომელიც რეგიონებში დაიხარჯა. მოგეხსენებათ, ბევრი ხალხი უნდა ჩამოეყვანათ რეგიონებიდან, მაგრამ ასე არ მოხდა და ადგილზე „მოტეხეს“ ფული რეგიონების უფროსებმა. ეგონათ, ხალხი აქციის ლოზუნგზე – „არა ანექსიას!“ წამოეგებოდა, თავად დაიძვრებოდნენ თბილისისკენ და ფული ტყუილად რატომ უნდა გადაეხადათ?

**— ხომ არ იცი, რა თანხა დაიხარჯა აქციისთვის?**

– დაახლოებით 3 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. დეტალურ ინფორმაციას კიდევ ველოდებით ამ თანხასთან დაკავშირებით და აუცილებლად მოგაწვდით.

**— ვისი ფული იყო, სააკაშვილის?**

– თანხის დიდი ნაწილი სააკაშვილის მოპოვებულია, მაგრამ ამას გარდა დიდი რაოდენობით „შავი ფული“ დაიხარჯა. როგორც მოგვაწოდეს ინფორმაცია, დამფინანსებლები ასევე არიან ის ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოში ეწევიან საქმიანობას, მაგრამ აქტიურად არ ჩანან, ანუ ცნობადი სახეები არ არიან, ძირითადად, „ოცნებაზე“ განაწყენებული ბიზნესმენები არიან, ზოგი შეზღუდეს, სასათბურე პირობები არ შეუქმნეს, ზოგი სააკაშვილის დროინდელია და დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ველარ „გულაობს“, არიან მათ შორის კიდევ „ოცნებაში“ გადაბარგებული ადამიანებიც, რომლებიც ფარულად თანამშრომლობენ „ნაციონალებთან“.

**— „ნაციონალების“ გეგმებზე ხომ არ იცით რამე?**

– როგორც ვიცი, ახლა მიდის მუშაობა, რაიმე ისეთი პროვოკაციები იქნებ დაგეგმონ, რომ ამას ხალხის აღშფოთება მოჰყვეს, უნდათ, 15 ნოემბრის ჩაფლავება ამით გამოისყიდონ სააკაშვილთან.

**— ერთი რამ მაინტერესებდა და უნდა გკითხოთ. „ნაციონალების“ ოფისთან რომ აქციებს მართავთ, „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია, უნდა გაუქმდესო, მანდ რა გესაქმებათ? პარლამენტთან რატომ არ მართავთ აქციას ამ მოთხოვნით, მანდ სწორედ ის ხალხი არ ზის, არჩევნებამდე სწორედ მაგას რომ გვპირდებოდა?**

– ჩვენ საქმე გვაქვს პირადად „ნაციონალების“ გველების ბუდესთან, იქ უნდა მივიდეთ და მივუსამძიმროთ მათი პოლიტიკური დაკრძალვა. პარლამენტთან არაფერი გვესაქმება, ჩვენ „ნაციონალებთან“ გვაქვს საქმე. ისინი პოლიტიკური გვამები არიან და გვინდა, ბოლო საკონტროლო გასროლა საზოგადოებასთან ერთად განვახორციელოთ. 23-ში მივალთ მათ ოფისში და არ მოვასვენებთ.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ყოველდღიურად ვკარგავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარების შანსს“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აფხაზეთ-რუსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ეხმაურება:



„დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი დაჩქარება ამ პროცესისა პირდაპირ კავშირშია საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელ პოლიტიკასთან. ჩვენი მთავრობა პატარა ბავშვივით ჩავიდა და იჩივლა ბრიუსელში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ გაბედა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც საქართველოს ინტერესების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ვერ გაბედა პირდაპირ დალაპარაკებოდა სოხუმის ხელისუფლებას და რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს. ჩვენ კიდევ უფრო ვშორდებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ყოველდღიურად ვკარგავთ შანსს ამ პრობლემების მოგვარებისა. დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ბრმად მიყვება რაღაც გაუგებარ ორიენტირებს, ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს იმას, რომ საქართველო კარგავს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსს... ერთადერთი გამოსავალი ამ მიმართულებით არის აფხაზეთთან, სამაჩაბლოსთან და რუსეთთან საუბარი. სხვა შანსი არ არსებობს და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ. თუ ჩვენ ვართ ერი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ უნდა მივიღოთ ის გადაწყვეტილებები და ვიმოქმედოთ ისე, როგორც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და არა დანარჩენ მსოფლიოს“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს




სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო აფრთხილებს მოსახლეობას, არ მიირთვას შპს „კედარის“ მიერ 9 ოქტომბერს გამოშვებული გაყინული ხინკალი, რადგან მასში აღმოჩენილია „ლისტერია მონოციტოგენეზი“ – პათოგენური მიკროორგანიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ანალოგიური განცხადება გაავრცელა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო შპს „კედარის“ მიერ 4 ოქტომბერს წარმოებულ გაყინულ ქაბაბში ლისტერია მონოციტოგენეზი აღმოჩნდა, რის შემდეგაც საწარმოში უნდა ჩატარებულიყო არაგეგმური ინსპექტირება, თუმცა, ადგილზე მისულ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო დახურული დახვდათ.

„კედარს“ საწარმოო პროცესი დღემდე შეჩერებული აქვს, მაგრამ სარეალიზაციო ქსელში კვლავ არის განთავსებული მის მიერ ოქტომბერში წარმოებული ნახევარფაბრიკატები, რაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ასევე საფრთხის შემცველი იყოს. (ნიუპოსტი)

## გაღიზიანებული ქალების კომენტარები — კესარია VS შორენა



ინფორმაციამ და ფოტოებმა შორენასა და კესარიას მსგავსების შესახებ ინტერნეტი გადააჭრელა. კესარიას კომენტარმა კი ბევრის გაღიზიანება გამოიწვია. „რითი ვგავარ შორენას? საერთოდ არ ვგავარ, მე ვარ 2 მეტრა ქალი“. ამ სიტყვებით გააპროტესტა კესარიამ შორენა ბეგაშვილთან მსგავსება.

კესარია აბრამიძე:

– მე ვგიჟდები სილამაზეზე, სილამაზის მონა ვარ, ყველა ლამაზ ქალს ვცემ პატივს და რაც უფრო მეტი ლამაზი ქალი იქნება ჩვენს ქვეყანაში, მე გამიხარდება ეს ფაქტი, მაგრამ ძალიან დამღალეს უკვე ამ თემით. რითი ვგავარ შორენას? საერთოდ არ ვგავარ, მე ვარ 2 მეტრა ქალი...



სწორედ ამ „2 მეტრიანმა ქალმა“ გამოიწვია ქალთა უმრავლესობის გაცეცხლება და მწვავე კომენტარები. სქესშეცვლილ კესარიას, წარსულში ბესო აბრამიძეს, ქართველი ქალები „ქალობას არ პატიობენ“...

კომენტარები საიტებსა და სოციალურ ქსელში:

– ნამდვილად არ გევხარ – შორენა ქალია!!!

– ხოოო... ქალი ხარ აშკარად.

– 2 მეტრა კი ხარ, მაგრამ ქალის რა გითხრა, ბატონო ბესიკ...

– ვაიმე, ამას მართლა ქალი ჰქონია თავი?

– ქალი... კარგი იყო.

– რა არის ეს, კაცი რომ იძახის, ქალი ვარო? რა არსებები არიან? ან რა უნდათ? ვინ უნდათ ცხოვრების მეგზურად? რა ტვინი წაიღეთ? იყვნენ თავისთვის...

– ამათზე რატომ იწერება? ამოდენა ყურადღება აფიშირებაა უკვე და ჟურნალისტების ბრალია ეგ... უნდა მოეთხოვოს ვილაცას... ინტერნეტით ხომ ბავშვებიც სარგებლობენ? და მერე უკვირთ გამწარებული ადამიანების, ვინ მოკლა და რატომ მოკლაო... გეყოთ!!!

– ბოლმების ქვეყანა კესარიასი რო შეგშურდება რა... ნეტა, ბევრი მაგის ნახევარი იყოთ...

***newposts.ge; primetimenews.ge***

## ნანუკა ჟორჟოლიანმა მშობლებთან ერთად დუბაიში დაისვენა



ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა მშობლებთან ერთად 4 დღე დუბაიში დაისვენა.

– ცოტა დავიღალე. ბევრი საქმე, გადაღება, შეხვედრა, ვალდებულებები, დაძაბულობები მიმეწყო და მივხვდი, რამდენიმე დღე აუცილებელია დასვენება. ბევრი არ მიფიქრია და დავურეკე მამაჩემსა და დედაჩემს. მოვუყევი რომ ორგანიზმი ენერგიის დატენას მთხოვდა და ვუთხარი, წამო სადმე მზიან ადგილას წავიდეთ-თქო. ზურიკოს ბევრი არ უფიქრია და მიპასუხა: სადაც გინდა, შვილო, იქ წავიდეთო. დარეჯანმა მშვიდად დაამატა: წამოვალ დე, აბა, რას ვიზამო. ხო და მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება სცალიათ შვილებისთვის და რა მაგარია, რომ ასეთია ორივე... 4 დღეს მზიან დუბაიში დედასთან და მამასთან და კიდევ ახლო მეგობართან ერთად გავატარებ. ისევე როგორც ბავშვობაში:) კარგად რომ დავისვენო, ეს დღეები თქვენც დაგემშვიდობებით. იქიდან უფრო ენერგიული დაგიბრუნდებით. დროებით და იმედია, ამ დღეებში ბევრი საინტერესო და კარგი რამ მოხდება თქვენს ცხოვრებაში“, – ასე დააანონსა ნანუკამ დუბაიში დასვენება წასვლამდე სოციალურ ქსელში.

***primetimenews.ge***

## „მარია დემიდოვამ ქმარი გიორგის გამო მიატოვა“ — რას ფიქრობს ასლან აბაშიძე ვაჟის სკანდალურ საცოლეზე



ასლან აბაშიძის ვაჟი, გიორგი აბაშიძე აქტუალობას არ კარგავს. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჭარის ყოფილი მეთაურის ვაჟი, ქართველ მოდელზე, ეკო ფანგანზე იყო შეყვარებული, თუმცა ინფორმაცია არ დადასტურდა.

ცოტა ხნის წინ, აბაშიძის ახლობელი დაგვიკავშირდა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა და განაცხადა, რომ გიორგი აბაშიძის რჩეული რუსი მოდელი მარია დემიდოვაა და წყვილის ფოტოებიც მოგვაწოდა. ჩვენი წყაროს ცნობით, მარია დემიდოვა და გიორგი აბაშიძე უკვე წლებია, ერთმანეთს ხვდებიან. აბაშიძემ საკუთარი რჩეული მამასაც გააცნო, ის ორჯერ ჰყავდა სახლში მიყვანილი. კითხვაზე, მოსწონს თუ არა ასლან აბაშიძეს საკუთარი შვილის რჩეული, წყარომ გვიპასუხა, რომ აჭარის ყოფილი მეთაური ამასთან დაკავშირებით საუბარს ყოველთვის თავს არიდებს.



მარიამ და გიორგიმ ერთმანეთი მოსკოვში, საერთო მეგობრების წრეში გაიცნეს. მარია პროფესიით მხატვარია, პარალელურად მოდელობს და წარსულში არაერთ თამამ ფოტოსესიაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ის 34 წლის არის. გიორგი აბაშიძე საჯარო სივრცეში მარია დემიდოვასთან ერთად გამოჩენას თავს არიდებს. გიორგი აბაშიძე საქართველოში ყოფნისას დაქორწინებული იყო სალომე ბაჯელიძეზე, რომელიც აბაშიძესთან დაშორების შემდეგ, გარკვეული პერიოდი მონასტერში ცხოვრობდა.

ამბობენ, რომ სალომემ ეს გადაწყვეტილება გიორგისთან განშორების გამო მიიღო. მარია დემიდოვა კი წარსულში იყო დაქორწინებული, თუმცა არაოფიციალურად. მამაკაცი, რომელთანაც ის ადრე ცხოვრობდა, სავარაუდოდ, გიორგის გამო მიატოვა. აპირებენ თუ არა გიორგი და მარია დაოჯახებას, ეს ჯერჯერობით უცნობია. ანონიმურმა წყარომ **ambebi.ge**-ს გიორგისა და მარიას ერთობლივი ფოტოებიც მიაწოდა, რომელიც საერთო მეგობრების წრეში აქვთ გადაღებული.

***ambebi.ge***

## ნათია ფანჯიკიძე: „ასეთ გახმაურებულ საქმეზე ასეთ რამეს რომ ბედავენ, თავხედობის ხარისხი წარმოიდგინეთ“



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლე ნათია ფანჯიკიძე ირაკლი ალასანიას განცხადებაზე სტატუსს აქვეყნებს.

ფანჯიკიძე წერს, რომ პროკურატურის ქმედებები ასეთ გახმაურებულ საკითხზე თავხედობაა.

– ეს მნიშვნელოვანია ყოველი მოქალაქისთვის. ასეთ გახმაურებულ საქმეზე ასეთ რამეს რომ ბედავენ, თავხედობის ხარისხი წარმოიდგინეთ, ბიუჯეტი რომ გაერღვევათ და მარიხუანა რომ ალმოაჩნდება ნებისმიერს ჯიბეში, რაიმეს მტკიცების რა შანსები აქვს, – წერს ნათია ფანჯიკიძე.

ცნობისთვის, ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღწერილია ყველაფერი, რამდენად აუცილებელია, შეუფერხებლად გადაეცეთ მასალები ადვოკატებს.

***news.ge***

## ძნელია იყო სექსსიმბოლო — ნუკი კოშკელიშვილის გამომწვევი „სელფები“







ძნელია იყო სექსსიმბოლო, რადგან ყოველთვის ყურადღების ცენტრში ხარ და მაყურებელი ჩასაფრებულია. თუ რამე შეგეშლება, ყველა კრიტიკის ქარცეცხლში გატარებს, თუმცა ამისათვის აუცილებელი არაა, რაიმე შეგეშალოს. ზოგს შენი წარბი არ მოეწონება, ზოგს წამწამები და მიდის სოციალურ ქსელში შენი გარეგნობის განხილვა.

ნუკი კოშკელიშვილი უდავოდ არის სექსსიმბოლო და, ალბათ, უკვე შეგუებულია, რომ მის პირად ცხოვრებაზე ყველა საუბრობს. ერთი პერიოდი თვითონაც გულახდილად საუბრობდა თავისი სიყვარულის შესახებ. თუმცა ბოლოს გადაწყვიტა, პირადი ცხოვრებისთვის ტაბუ დაედო.

თუმცა ნუკის გადაწყვეტილებას ხელი არ შეუშლია მისი პოპულარობისთვის. ამჯერად მის გარეგნობას განიხილავენ. იყო პერიოდი, როდესაც მის ცხვირზე საუბრობდნენ აქტიურად. თუმცა ტელეწამყვანმა და მსახიობმა ბევრჯერ აღნიშნა ინტერვიუში, რომ ცხვირის ოპერაციის გაკეთებას არ აპირებდა.

ბოლო დროს კი აღნიშნავენ, რომ მას ძალიან დიდი წამწამები აქვს. ნუკის ხელოვნურად მართლაც დიდი წამწამები აქვს, მაგრამ იშვიათია, თვალი წამწამებისკენ გაგექცეს, როდესაც ტელეწამყვანის მიერ გადაღებულ სელფებზე, მისი მკერდი ჩანს მთელი თავისი მომხიბვლელობით.

***reitingi.ge***

## ნინო გაჩეჩილაძის ღრმა დეკოლტე „ბრავოში“



ნინო და გიორგი ყიფშიძე „ბრავოს“ ლობისტები იყვნენ.

მათი კონკურსანტი – თამუნა შავერდაშვილი ფინალშია.

ნინოს „პაკლონის“ დროს ასეთი კადრი დავიჭირეთ.

***primetimenews.ge***





1. ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესაყართან
2. მეფე ვახტანგ ...
3. საყრდენი, სამირკველი
4. თმის წითელი საღებავი
5. მ/ფ „ვესტსაიდური ...“
6. წონის დასადგენი ხელსაწყო
7. ქალაქი აფხაზეთში
8. ... ქუხს, ისე არ წვიმს
9. კავშირი, გაერთიანება
10. სირაქლემას სახეობა
11. ციებცხელება
12. ღია საბანაო კოსტიუმი
13. ჭიდაობის ხერხი
14. საწებელი სოსისისთვის
15. 10სმ, ანუ ...
16. რეჟისორი თენგიზ ...
17. ბურთად შეკრული თოვლი
18. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
19. ფისი. იყენებენ გზის მშენებლობისას
20. ნავსადგური
21. მუხლამდე ამოსული წინდა
22. ქართ. ფილმი ზღაპარი
23. გასაყიდად შემოტანილი საქონელი
24. ყურძნის ჯიში
25. ჰერკულესის გერმნული შესატყვისი
26. ვაზის ყვავილედი
27. „... გინახავს, ველარ ნახავ“
28. საარჩევნო საქმიანობა
29. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
30. ადამიანიობა, ანუ ...
31. ყვავილი ვაჟას შემოქმედებაში
32. –... ენუქ, ქრისტე გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქა? (ანანიას სიტყვები)
33. აღმოსავლური საჭმელი
34. ჭია ვაშლში
35. ესპანური კინოაკადემიის ჯილდო
36. ... მღალადებლისა უდაბნოსა შინა
37. ფრანგი კინოკომიკოსი
38. გმირი ცოტნე ...
39. „ჯერ ..., მერე იქორწინეს“
40. საქმეში ჩადებული წილი
41. გამოუწვავი აგური
42. განვითარება ბიოლოგიურად
43. მსახიობი ... როკი
44. ტელეკომპ.
45. საერთაშორისო პრემიის დამაარსებელი
46. მწერალი ... ქიაჩელი
47. სირანო დე ...
48. თოვლის სტიქია
49. ნახატი წიგნში
50. ... აღმართს ხნავს
51. ქათმების სამწყემსი
52. ოპიუმი (ძვ.)
53. ისტორიის მუზა
54. იჯარა
55. გალაქტიკა ... ნახტომი
56. ... მე ვარ, იქაც მე ვარ
57. მისი დედაქალაქია ჰავანა
58. ხორცის პროდუქტი
59. დიდი ნემსი
60. ქურდბაცაცა, ანუ ...
61. ჯინა ლოლობრიჯიდას როლი
62. ჯუჯა სამეფო სახ-...
63. ფილმის ხელახლა გადაღება
64. პოეტი ... კალანდაძე
65. კერძების მომზადების ხელოვნება
66. ჯუზეპე ვერდის ოპერა
67. ენებიანობა
68. მ/ფ „მაკენას ...“
69. პირველი სამნიშნა რიცხვი
70. ავტომობილი ... სენა
71. ტელეშოუ „... უნდა 20000“
72. დაბა ადიგენის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს ასტროფიზიკური ობსერვატორია
73. მაიმუნის სახეობა
74. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
75. იოსებ ჯუღაშვილი
76. კანონების შემცველი სახალხო დოკუმენტ.
77. გიგანტი ბერძნულ მით-ში (ზოგადად)
78. სრული ნეტარება ბუდიზმის მიხედვით
79. ფარული დაცინვა
80. ცელქი
81. პირბადე
82. ჩხიკვაძე ფილმში „სოფლის ...“
83. უკრემო ნამცხვარი
84. ღამის ფრინველი
85. იაპონური ფულის ერთეული
86. ბამბა, ანუ ...
87. ... ამაღლობელი
88. სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში
89. სხეულის ნაწილი
90. ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ...
91. მიწის სახნავი იარაღი
92. ათმანეთიანი ძველად
93. მსახიობი ... კინსკი
94. გაუმ-ლელი ფოთოლი
95. მსახიობი რობერტ დე ...
96. ორი მიკრივის ბრძოლა-ვარჯიში
97. ორგანო მუცლის ღრუში
98. მზია და ბადრი მულტფილმში „...“
99. ექსპრომტი
100. ქალაქი სომხეთში, რომელიც ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია
101. საღეჭი რეზინი, ანუ ...
102. მღვდელები ბაწრო და ...
103. ფრინველი „ადიუტანტი“
104. ნატალია ვარლეი ფილმში
105. რომის იმპერატორის ტიტული
106. მტაცებელი ცხოველის მამრი
107. სარქველ ჯირკვლების ანთება
108. ხის სახლის მშენ-ბელი
109. მდინარე თბილისში
110. მაღალი გამავლობის საბჭოთა ავტომობ.
111. შავი ფერის კენკრა
112. დიდი, მსუქანი მუცელი
113. დეზდემონას ქმარი
114. შინაური რქოსანი პირუტყვი
115. ამერიკული თოჯინა
116. წინასწარ მიცემული თანხა
117. მსახიობი ...-ჯესიკა პარკერი
118. შიფრი
119. რეჟისორი ანჯეი ...
120. ტბა აფრიკაში
121. სამკურნალო დაწესებულება
122. მ/ფ „შინდლერის ...“
123. მხატვარი ანტონის ... დეიკი
124. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
125. ტემპერატ. როცა წყალი იყინება
126. მულტფილმი „..., დამაცადე“
127. სურდო ტერმინოლოგიით
128. არაფრისმცოდნე
129. სევდიანი ლირიკული ლექსი
130. მსახიობი ... პარიოო
131. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ ლეონიდ ბრონევოის პერსონაჟი
132. მსახიობი ... მენდესი
133. ... ხაჩატურიანი
134. ცუდი ამინდი
135. მიწაში დაფლული სიმდიდრე
136. ხორცმეტი კანზე
137. მოტორიანი ნავი
138. ანსამბლი „ოთხი ...“
139. ყურძენი იზაბელა
140. ... პუგაჩოვა
141. დარწმუნების უქონლობა, უნდობლობა
142. პატარა მარხილი
143. ჯეიმს კამერონის ლურჯი ადამიანები ფილმში
144. მომღერალი ... კვალიაშვილი
145. მ/ფ „... ვოლოდიევსკი“
146. მარინე ფერაძე, იგივე ...
147. თირკმლების დაავადება
148. ქარი ეპითეტით „ცელქი“
149. საზღვაო კურორტი თურქეთში
150. მსახიობი ... მაკდაუელი
151. მსახიობი ანჯელინა ...

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სტადიონი რიოში
2. მსახიობი ... ფაინსი
3. ბიბილოზე მოსაჭერი საყურე
4. უანგარო შრომა
5. ესპანელი მხატვარი
6. მეტა-მორფოზის ბოლო სატდია
7. ქიმიური ელემენტი
8. ბალერინა ნინო ...
9. ბრინჯაო
10. ქიმიური ინდიკა-ტორი
11. დონ კიხოტის ცხენი
12. ხელის საგრილე-ბელი
13. ქალაქი გერმა-ნიაში
14. მომ-ღერალი ... ნოულზი
15. მსახიობი ჯესიკა ...
16. რუსი პოეტი
17. წარწერა კადრის ქვეშ
18. ავსტ-რალიის ბინადარი ცხოველი
19. ფრინველის სამყ-ვდევი
20. მტაცებელი ფრინველი
21. შტატი აშშ-ში
22. ახალი ... კარგად გვის
23. კაციჭა-მია
24. „ნატ-ვრის ხე“ დაუშ-ვილი
25. „პრინცესა ... მარცვალზე“
26. „ვაი ჭკუი-საგან“ ავტორი
27. მთათა სისტემა ამერიკაში
28. გაფუჭე-ბული კვერცხი
29. ქართ. ხალხური ზღაპარი
30. „... და ორმოცი ყაჩაღი“
31. იაპონური თეატრი
32. „წყნარი დონი“ ავტორი
33. მხ/ფ „... ტრეისი“
34. ... ფიროსმა-ნაშვილი
35. ჯიქანი
36. დიდი ჩაქუჩი
37. ხის ჯიში
38. მაღალი ხმა გურულ სიმღერაში
39. ცხარე საწებელი
40. ბოსტ-ნეული
41. სინთე-ზური ქსოვილი
42. არანამ-დვილი, ანუ ...
43. მომ-ღერალი ... გეგელია
44. ამერიკელი მომღერალი ქალი
45. ჯუჯა სამეფო ევროპაში
46. უფრთო ფრინველი
47. ... ფოიხტ-ვანგერი
48. ნიანგის სახეობა
49. ცნობილი კომეტა დედამი-წასთან
50. სულხან-... ორბელიანი
51. ქართ. საესტრადო ანსამბლი
52. მხატვარი ნელი ...
53. მომ-ღერალი დაიანა ...
54. მსახიობი ჟერარ ...
55. ვიოლინოების ოსტატი ... გვარნერი
56. ჭამის სურვილი
57. ძვ. რომაული სამოსი
58. ჯონ ტრა-ვოლტა ფილმში
59. ქიმიური ელემენტი
60. მსახიობი ... კეიტელი
61. ქალაქი საფრან-გეთში
62. ყურის ნაწილი
63. იაპონური თაიგული
64. რუსული ავტომო-ბილი
65. „ბერ-ნარდა ალბას ...“
66. ამ ენაზე მეტყვე-ლებდა ქრისტე
67. კიმონოს აქსე-სუარი
68. მსახიობი მერილინ ...
69. იაპონური ფულის ერთეული
70. თურ-ქეთის დედაქა-ლაქი
71. ტუჩი
72. მითი-ური პერსო-ნაჟი. ცნობილია ქუსლით
73. მი-მართვა ფრანგთა მეფისადმი
74. ცურვის სტილი
75. მაიმუნის სახეობა
76. მომ-ღერალი კურტ ...
77. ნორ-ვეგიის დედაქა-ლაქი
78. ცურვის სტილი
79. სასვენი ნიშანი
80. ინდიე-ლების ნაჯახი
81. მსახიობი ... იოჰანსონი
82. მსახიობი ჯულიეტა ...
83. მეკარე, ანუ ...
84. ...-ანჯელესი
85. ძიძუნი
86. ქალაქი აშშ-ში
87. მტაცე-ბელი ფრინველი
88. სრუტე პა-დე-...
89. მდინარე კახეთში
90. შენობა. ინახავენ ფულს
91. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა
92. ფი-ზიკოსი ... ნიუტონი
93. ავადმ-ყოფური გატაცება
94. ძალების აღდგენა
95. სანელე-ბელი
96. ქრისტიანული მიმდინარეობა. პროტესტანტიზმის სახე
97. „მიმინო“ ვალიკო ...
98. ცხენ-ირემი
99. დაღეს-ტნური სოფელი
100. მო-კრივე ... ჰოლი-ფილდი
101. სამეჯ-ლისო ცეკვა
102. მდინარე აფხა-ზეთში
103. კათოლიკე მღვდელი
104. სლო-ვაკეთის დედაქა-ლაქი
105. მსახიობი ჟანრი ...
106. სახლის მიმდებარე ტერიტორია
107. მხ/ფ „ჩვენი ეზო“ დეიდა ...
108. რბილი ლითონი
109. მწერლი ... მოემი
110. ღრმული წყნარ ოკეანეში
111. კბილის დამცავი ფენა
112. კომ-პოზიტორი ... კალმანი
113. კოვზი, ჩანგალი, ...
114. -... თაგვს შეჭამს ოთხი ბუ წელიწადში (მხ/ფ „მანანა“)
115. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
116. ვირას საპირის-პირო ბრძანება
117. ვენეციური ნავი
118. დიდი საჯარისო შენაერთი
119. მსახიობი ... ტომეი
120. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
121. მომ-ღერალი ... აარონ პრესლი
122. სასტუმროს ოთახი
123. ქალაქის მუნიცი-პალი-ტეტი
124. დიუმა. „დედო-ფალი ...“
125. ბალახიანი მიწის ნაკვეთი
126. ტან-მოვარჯიშე ... კორბუტი
127. ოტელოს ეროვნება
128. თავის ჩონჩხი
129. დიუმა. „... წლის შემდეგ“
130. ეკ-ვადორის დედაქა-ლაქი
131. მსახიობი ... რურკი
132. მოჭრილი ხის ტანი
133. მსახიობი ... ელიავა
134. შექ-სპირი. „მეფე ...“
135. მოტო-რიანი ნავი
136. ყვავილი
137. მსახიობი ... ჰარისი
138. მო-ჭადრაკე ემანუილ ...
139. აბატი ფარიას ციხე
140. ნიშნავს ცივს
141. სიო
142. ნაბიჯი ბალეტში
143. ... ჰო, ... არა

პასუხები: 1. „მარაკანა“; 2. რალფ; 3. კლიფსი; 4. ამაგი; 5. მურილიო; 7. ფოსფორი; 8. ანანიაშვილი; 9. რვალი; 10. ლაკმუსი; 11. როსინანტი; 12. მარიო; 13. ლაიფციგი; 14. ბიონსე; 15. ალბა; 16. ბლოკი; 17. ტიტრი; 18. იხვნისკარტა; 19. გალია; 20. ორბი; 21. ოკლაჰომა; 22. ცოცხი; 26. გრიბოედოვი; 27. კორდილიერები; 28. ლაყე; 29. „მუჭანახევარა“; 30. ალიბაბა; 31. კაბუკი; 32. შოლოხოვი; 33. დიკ; 34. ნიკო; 35. ცური; 36. ურო; 37. ჭადარი; 38. კრიმანჭული; 39. მდოგვი; 40. ნიორი; 41. ლავსანი; 42. ყალბი; 43. ლილი; 44. მადონა; 45. ანდორა; 46. კივი; 47. ლიონ; 48. ალიგატორი; 49. ჰალეი; 50. საბა; 51. „ივერია“; 52. ოქროპირიძე; 53. როსი; 54. ფილიპი; 55. გვიდო; 56. მადა; 57. ტოგა; 58. „ბრიოლინი“; 59. იოდი; 60. ჰარვი; 61. ჰავრი; 62. ბიბილო; 63. იკებანა; 64. „ნივა“; 65. სახლი; 66. არამეული; 67. ქამარი; 68. მონრო; 69. იენა; 70. ანკარა; 71. ბაგე; 72. აქილევსი; 73. სირ; 74. კროლი; 75. ორანგუტანგი; 76. კობეინი; 77. ოსლო; 78. ბრასი; 79. ტირე; 80. ტომაჰავკი; 81. სკარლეტ; 82. მაზინა; 83. გოლკიპერი; 84. ლოს; 85. მაო; 86. ბალტიმორი; 87. მიმინო; 88. კალე; 89. იორი; 90. ბანკი; 91. ბენეფისი; 92. ისააკ; 93. მანია; 94. რელაქსაცია; 95. პილპილი; 96. ბაპტიზმი; 97. მიზანდარი; 98. ლოსი; 99. აული; 100. ევანდერ; 101. ვალსი; 102. ენგური; 103. კიურე; 104. ბრატისლავა; 105. ლოლაშვილი; 106. ეზო; 107. ვასასი; 108. კალა; 109. სომერსეტ; 110. მარიანი; 111. ემალი; 112. იმრე; 113. დანა; 114. რამდენ; 115. კიკო; 116. მაინა; 117. გონდოლა; 118. არმია; 119. მარისა; 120. დევი; 121. ელვის; 122. ნომერი; 123. მერია; 124. მარგო; 125. კორდი; 126. ოლგა; 127. მავრი; 128. ქალა; 129. ოცი; 130. კიტო; 131. მიკი; 132. მორი; 133. ლია; 134. ლირი; 135. კატერი; 136. ია; 137. ედ; 138. ლასკერი; 139. იფი; 140. კრიო; 141. ნიავი; 142. პა; 143. ან. იკითხება: კლოუნი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## ერიკ კლეპტონის საათი 3,6 მილიონად გაიყიდა



არადა, 3,6 მილიონ აშშ დოლარად საათის მწარმოებელ ქარხანას გახსნიდა კაცი და ხურდაც დარჩებოდა, ევრორემონტი რომ ჩაეტარებინა მინიმუმ სათავო ოფისში მაინც.

ასეა თუ ისე, გამოჩნდა, ჩვენი აზრით, ძალიან უცნაური ადამიანი, რომელმაც პოპულარული და ძალიან მაგარი ბრიტანელი როკ-მუსიკოსის ერიკ კლეპტონის პლატინის მაჯის საათის ხელში ჩასაგდებად, სწორედაც რომ 3,6 მილიონი აშშ დოლარი გაისროლა.

ცნობილია, რომ უძვირფასესი შვეიცარიული საათი 1987 წელსაა გამოშვებული. აღჭურვილია სამუდამო კალენდრით, ქრონოგრაფითა და მთვარის ფაზების ინდიკატორით.

საათი სულ ცოტა ხნის წინ ჟენევაში „კრისტის" აუქციონზე გაიყიდა.

სხვათა შორის, გიტარისტმა არანაკლები წარმატებით გაყიდა გასულ თვეში გერჰარდ რიხტერის ნახატი, რომელიც გერმანელმა მხატვარმა 1994 წელს შეასრულა. ნახატში უცნობმა კოლექციონერმა 34 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა, რაც მინიმუმ 30-ჯერ მეტია, ვიდრე საფასური, რომელიც ნახატისთვის თავად მუსიკომა 2001 წელს გაიღო.

*mainfun.ru*

## შვეიცარიაში, ავსტრიასა და გერმანიაში არსებობდა სოფლები, სადაც მხოლოდ... კრეტინები ცხოვრობდნენ



დედას გეფიცებით, თუ საერთოდ გვიყვარდეს ვინმეს დაცინვა და გალანძღვა და მით უმეტეს, ამას მთელ ევროპას როგორ ვაკადრებთ, მაგათი შეშფოთება გვინდა კიდევ?!.

კრეტინიზმი – ეს არის სამედიცინო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ენდოკრინულ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ნაკლებობით (ჰიპოთირეოზი). დაავადება ხასიათდება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევითა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების შეფერხებით.

როგორც ამბობენ, ალპების თითქმის მთელი მოსახლეობის პრობლემა იყო ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, რისი მიზეზიც ორგანიზმში იოდის ტოტალური დეფიციტი ხდებოდა. ამის გამო, იქაურებს ყელთან მოზრდილი გამობერილი ბუშტები ჰქონდათ. ასევე, შედეგი იყო კრეტინების უზარმაზარი რაოდენობა – გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანების, რომლებიც ადგილობრივ სოფლებში ცხოვრობდნენ. მიზეზად სპეციალისტები „ცუდ წყალს" და „გამომშრალ ჰაერს" ასახელებდნენ. მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაჩნდა მოსაზრება, რომ ყველაფერი იოდის ნაკლებობის ბრალი შეიძლებოდა ყოფილიყო.

1910 წლის იანვარში ავსტრიელმა ფსიქიატრმა იულიუს ვაგნერ-ჰაუერეგმა დაამტკიცა, რომ ალპური ჰიპერიოზის მიზეზი სწორედ კვებაში იოდის ნაკლებობაა, ხოლო 1922 წელს ავსტრიაში პირველად გამოიცა იოდიზებული მარილი, რომელმაც გადაარჩინა როგორც თავად ავსტრია, ისე გერმანია და შვეიცარია.

*facte.ru*

## მამაკაცისა და ქალის სექსუალური სხვაობები



– ადამიანის ლიბიდოსა და სექსუალურ ქცევაზე პასუხს ნერვული ცენტრები აგებს, რომლებიც ტვინის ჰიპოთალამუსშია განლაგებული. ჰოდა, მამაკაცის ჰიპოთალამუსი 2,5-ჯერ დიდია, ვიდრე ქალისა და „ეროტიკული ცენტრები" მასში 2-ჯერ მეტია, ვიდრე მშვენიერი სქესისა და ჰომოსექსუალების შემთხვევაში.

– ორივე სქესი თავისებურად რეაგირებს სქესობრივ უძლურობაზე. მამაკაცი საკუთარ სხეულს ისე ეპყრობა, როგორც მანქანას, რომელშიც სხვადასხვა დეტალი მწყობრიდან გამოვიდა და სექსოლოგმა ეს ყველაფერი უნდა „შეარემონტოს". რაც შეეხება ქალს, ის მიზეზს არასასიკეთოდ ჩამოყალიბებულ ინტიმურ ურთიერთობებში ხედავს და ძალიან ბევრ რამეზე იხევს, რათა პარტნიორის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

– შეყვარებულობის დროს ტესტოსტერონის დონე (მამაკაცური სქესობრივი ჰორმონი, რომელიც მცირე რაოდენობით ქალებსაც აქვთ) ძლიერ სქესს უმცირდება, ქალებში კი პირიქით – მატულობს.

– შიშველი ქალის გენიტალიების შეხედვა მამაკაცების თითქმის 100 პროცენტს აღაგზნებს, ხოლო შიშველი მამაკაცების სასქესო ორგანოები ქალების მაქსიმუმ 50 პროცენტში იწვევს ეროტიკულ რეაქციებს, ბევრს კი უსიამოვნო შეგრძნებებსაც უჩენს.



– გამოკითხული მამაკაცების 22,2 პროცენტი პარტნიორის მთავარ ღირსებას გარეგნობაში ხედავს. ქალების 11,9 პროცენტისთვის რჩეულის გარეგნობა არცთუ ისე მნიშვნელოვანია.

– კითხვაზე: „რა გხიბლავთ ყველაზე მეტად საპირისპირო სქესში", ქალების 45 პროცენტის პასუხია: თვალები, მამაკაცების 31 პროცენტის: მკერდი.

– როცა გოგონებს სექსუალური კონტაქტი ყოველგვარი პრელუდიის გარეშე შესთავაზეს, არც ერთი არ დასთანხმდა. სამაგიეროდ, წინაპირობების გარეშე სექსზე უარი არ უთქვამს მამაკაცების 75 პროცენტს.

– ორგაზმის შემდეგ, მამაკაცს აღგზნება მაშინვე უქრება, ქალს კი მხოლოდ 10-20 წუთის შემდეგ.

*mhealth.ru*

## ინგლისში ყველაზე რთულად წარმოსათქმელი სახელების მქონე კერძები დაასახელეს



ჰმ, ამათ მუჟუჟი არ იციან, ჭვიშტარი, ჩიხირთმა, გებჟალიე, აჩმა, შქმერული და ყაურმა, თორემ, როგორ გვაჯობებდა ბერძნული სოუსის სახელი?!

როგორც ირკვევა, დიდ ბრიტანეთში სოუსებისა და წვნიანების მწარმოებელმა კომპანიამ გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანიც ყველაზე რთულად წარმოსათქმელი სახელების მქონე კერძების დასახელება იყო.

აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებულ პრობლემებს ნისლიან ალბიონზე ბერძნული სოუსი დზადზიკი ქმნის (სოუსს ასევე უწოდებენ ცაციკის და ტცატციკს).

რეიტინგის მეორე ადგილზეა კესადილია – მექსიკური კვერი. რაც შეეხება „ბრინჯაოს", ის წილად ხვდა იტალიურ შაშხს, სახელწოდებით პროშუტტო.

*lenta.ru*

## გაციების არასწორი მკურნალობა სერიოზულად დაგაზარალებთ



ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გაციების პირველ ეტაპზე მის წინააღმდეგ არცთუ სერიოზულ ზომებს მიმართავს – ცხელ წყალში პარაცეტამოლიან რამდენიმე შუშხუნა პაკეტს ხსნის და შემდეგ გახარებულია, უსიამოვნებას რა მალე გავუმკლავდიო.

სინამდვილეში, გასახარად მიზეზი ნამდვილად არ არსებობს, რადგან როგორც მედიკოსები გვაფრთხილებენ, ბრძოლის ასეთი მეთოდი უსაფრთხო სულაც არ არის.

სულ ცოტა ხნის წინ რუსეთში ცნობილი გახდა, რომ პარაცეტამოლის გამო ორი სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გარდაიცვალა, რომლებიც გაციების დამარცხებას სწორედ ამ ცნობილი საშუალების დახმარებით ცდილობდნენ.

როგორც აღმოჩნდა, სიკვდილის მიზეზი პარაცეტამოლის დიდმა დოზამ გამოიწვია, კერძოდ, მის მიღებას ღვიძლის დაშლა მოჰყვა, რაც, ბუნებრივია, კარგით არაფრით დამთავრდებოდა.

ექიმები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ პარაცეტამოლს სხვა არაერთი უსიამოვნების გამოწვევაც შეუძლია. ასე მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, პრეპარატის ხშირ და დიდი დოზებით მიღებას მოჰყვეს ალერგია, ანემია, გამონაყარი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, კვლევებმა აჩვენა, რომ ღვიძლზე უკიდურესად უარყოფითი გავლენა შესაძლოა, 10 გრამი პარაცეტამოლის მიღებამაც კი მოახდინოს. პირველი სიმპტომები დღის მანძილზე არითმიაში იზრდება, ან კომაში, რასაც ფატალური შედეგიც შეიძლება მოჰყვეს.

*dr20.ru*

## გულის პრეპარატების ნაცვლად იოგურტი



მართალია, ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ იოგურტისგან ადამიანს არავითარი დადებითი შედეგის მიღება არ შეუძლია, მაგრამ ავსტრალიელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს გემრიელი სასუსნავი შესანიშნავ გავლენას ახდენს არტერიებზე, რითიც ინფარქტის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

განსაკუთრებით სასარგებლოა იოგურტი ხანშიშესული ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც გულთან დაკავშირებული პრობლემები უცხო ხილი არ არის.

ავსტრალიელი სპეციალისტების რეკომენდაციაა, დღეში 100 გრამი იოგურტის მიღება.

– იოგურტი „კარგი" ქოლესტერინის დონეს ზრდის, რითიც პროფილაქტიკის ეფექტის „პროვოცირებას" ახდენს, – განმარტავენ ავსტრალიელი სწავლულები.

*medportal.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– „აქ იყო დათო", „აქ იყო ილია", „აქ იყო შოთა"... ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი წარწერებია...

აბა, რატომ ვიძაბები ასე? არ ვიცი, ალბათ, ან მელანია უცნაური, ან ხელწერა... ან იქნებ ის, რომ ამ წარწერებს ჩემს კარადაში ვკითხულობ?..

*****

გამოცდის დროს ლექტორი სტუდენტს ეკითხება:

– იცით, რას ნიშნავს გამოცდა?

– ეს არის საუბარი ორ ჭკვიან ადამიანს შორის ერთი თემის გარშემო.

– და თუკი ერთ-ერთი მათგანი იდიოტია?

– მაშინ, მეორე სტიპენდიას ვერ ეღირსება...

*****

– მამიკო, რა სხვაობაა რევოლუციასა და გადატრიალებას შორის?

– რევოლუციები მშიერების სურვილის გამო ხდება, რომელთაც ჭამა უნდათ, გადატრიალებები კი – მაძღრების გამო, რომელთაც უფრო მეტის ჭამა უნდათ...

*****

– ნინიკო, მიღალატებდი, ასი დოლარი რომ შემოგთავაზონ?

– არა, საყვარელო, რას ამბობ?!

– ათასი დოლარი თუ შემოგთავაზეს?

– არა-მეთქი!

– და ათი ათასი?

თანხა ნინიკოს იმდენად მომხიბვლელად მოეჩვენა, რომ მესამედ ტყუილის თქმა ველარ შეძლო...

*****

– ოდესმე გითქვამს ქალისთვის ის, რასაც მასზე ფიქრობ?

– კი... გინდა, ნაიარევები გაჩვენო?

*****



– ბატონო პრეზიდენტო, თავს დაგვესხა უზარმაზარი გველეშაპი და უცნაური მოთხოვნები წამოგვიყენა!

– რა ჯანდაბა უნდა?

– შია...

– და რას ჭამს?

– ქალწულებს...

– ეეჰ, საცოდავი ცხოველი, მომკვდარა მშიერი და ეგაა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## რატომ თვრება ზოგი სხვებზე ბევრად სწრაფად?



სად ნახეს, ხარის მიერ გამოცლილი ყანწები და განსხვავებულები, კაცმა არ იცის, მაგრამ მაინც ბევრი იტყვის ხოლმე მაგარ მსმელ ადამიანზე – ხარივით სვამსო... ხარის რა მოგახსენოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რატომ არის, რომ ზოგი მართლაც უზომო რაოდენობის ალკოჰოლს იტანს, ხოლო ზოგს ორი ჭიქა ულებს ბოლოს.

კვლევა ამ საკითხზე ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ სპირტის გადატანის დონე პირდაპირ კავშირშია თავის ტვინის გენების მუტაციასთან.

აღნიშნული კვლევა ინოვაციური აღმოჩნდა მეცნიერებისთვის, რადგან მიკვლეულ იქნა მიზეზი, რომლის გამოც ზოგიერთი ადამიანი სხვებზე ბევრად სწრაფად და ადვილად თვრება.

მეცნიერებს უკვე დიდი ხნის წინ აქვთ ახსნილი ალკოჰოლით თრობის ზოგიერთი შედეგი. მაგალითად, მეხსიერების დაკარგვა, ნაბახუსევი, კოორდინაციის დარღვევა. რაც შეეხება ალკოჰოლის ზემოქმედებას უშუალოდ ტვინზე, ეს ფაქტი დიდი ხანი ბურუსით იყო მოცული.



მოკლედ, საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ ტვინზე სპირტის ზემოქმედების შედეგად, მისი გენები მუტაციას განიცდის. შესაბამისად, ტვინის რეცეპტორთა პარამეტრები სრულიად განსხვავებული ხდება. ამას ის შედეგი მოსდევს, რომ გენების მუტაციის გამო, ტვინის უჯრედებს აღარ აქვთ უნარი, ერთმანეთში ინფორმაცია გაცვალონ და ალკოჰოლიც უფრო დიდი ზემოქმედების მოხდენას ახერხებს.

სხვაობა კი ის არის, რომ ზოგიერთი ადამიანის გენებს მუტაცია ბევრად ადვილად ერევა, სხვებს კი უმართლებს, ეს პროცესი დროში იწელება და შესაბამისად, მეტი ალკოჰოლის მიღება „ხარივით მსმელის" სტატუსს ანიჭებს.

***smartbooka.net***

## ადამიანები საყვარლებსა და მეგობრებს გენეტიკურ დონეზე ირჩევენ?



დაგვეთანხმებით, არაფერი ჯობია ისეთ ურთიერთობებს, რომელშიც უმცირესი ადგილიც კი არ აქვს გამორჩენის სურვილს. მათ, ვინც მეგობრებს ამგვარი წესით ირჩევს, ისეთ სახელს უწოდებენ, ცოტა გვერიდება სახალხოდ გამეორება. რაც შეეხება სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობის გაბმის მეცნიერულ ახსნას, აქ უკვე მოსარიდებელი არაფერია და ყველაფერს გახსნილად გეტყვით.

თითქმის 10 ათასი მოსწავლის გენოტიპის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანები ხვდებიან, ყვარობენ და ემეგობრებიან ერთმანეთს გენეტიკურ დონეზე.

კვლევის ჩატარება ექვსი გენის შესახებ მიღებული მონაცემების შემდეგ გადაწყდა, რომელთაგან თითოეულში მეცნიერებს ერთი ერთნუკლეოდური პოლიმორფოზი (ენპ) აინტერესებდათ – დეენემის თანმიმდევრობის მინიმალური ვარიაცია.

მას შემდეგ, რაც კვლევის ავტორებმა გაითვალისწინეს გენეტიკური თანხვედრის ეფექტი, რომელიც იძლევა სქესს, ასაკს, რასობრივ კუთვნილებას და ზოგად წარმომავლობას, ყურადსაღები კანონზომიერებაც გაჩნდა: ადამიანებში, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ, ხშირია ერთი და იგივე ენპ დოფამინურ გენში დე2 და განსხვავებულია გენში სიპ2ა6.

აღნიშნული გენების ზუსტი ფუნქციები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, მაგრამ პირველ მათგანს შეუძლია ზემოქმედება ალკოჰოლიზმის განვითარებაზე, მეორე კი ადამიანის გახსნილობას უკავშირდება, სწრაფვას ახალი იდეებისკენ და შთაბეჭდილებებისკენ.

– ადამიანები სექსუალურ პარტნიორებსა და მეგობრებს არა ქვეცნობიერ, არმედ გენეტიკურ დონეზე ირჩევენ, – ამბობენ მეცნიერები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***facte.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**21 ნოემბერი:** დღეს მხოლოდ იმას დაინახავთ და მოისმენთ, რის დანახვა და მოსმენაც გინდათ. არ ღირს, რეალობას დაუბრუნდით.

**კურო 22.04-21.05**

**21 ნოემბერი:** არ დაგავიწყდეთ, რომ მეგობრობა ფაქიზი გრძნობაა. დღეს ურთიერთობებში მაქსიმალური ყურადღება გმართებთ, ზედმეტები არ ილაპარაკოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**21 ნოემბერი:** შეიძლება გაუბედაობა დაგეუფლოთ. საზიზღარი თვისებაა, მაგრამ დღეს თქვენი მოკავშირე იქნება. თუ რაღაცას ვერ ბედავთ, ე.ი. მიზეზი არსებობს და ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**21 ნოემბერი:** დღეს იღბალი თქვენს მხარეს იქნება, გამოჩნდება საქმე, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვათ. ძველი საქმეები გადადეთ და მთელი ძალები ამ საქმისკენ მიმართეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**21 ნოემბერი:** დღეს წარმატებისთვის ხართ განწირული. თუ თქვენი სურვილიც იქნება, ყველაზე მეტად სასიყვარულო საქმეებში გაგიმართლებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**21 ნოემბერი:** რა ემოციების გავლენის ქვეშაც არ უნდა იყოთ, შეეცადეთ, მთელი დღის მანძილზე აუღელვებელი გამომეტყველება შეინარჩუნოთ და კომპრომისებისთვის მზად იყავით.

**სასწორი 23.09-22.10**

**21 ნოემბერი:** შესაძლოა, დღეს თქვენი რესურსები არ გეყოთ, ამიტომ დახმარება და სტიმული დაგჭირდებათ. ახლობლებისთვის დახმარების თხოვნა არ მოგერიდოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**21 ნოემბერი:** დიდი ალბათობით, დღეს ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერ პრობლემას გაუმკლავდებით. შეეცადეთ, ისე იმოქმედოთ, რომ არ გადაიღალოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**21 ნოემბერი:** თუ დღეს მიზანი გექნებათ და საკუთარ ძალებშიც დარწმუნებული იქნებით, ნებისმიერ ბარიერს გადალახავთ, ხელს ვერაფერი შეგიშლით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**21 ნოემბერი:** თუ დილით მძიმე საკვებს არ მიირთმევთ, მთელი დღის მანძილზე კარგ განწყობაზე იქნებით. სამსახურში ნებისმიერი სახის კამათს მოერიდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**21 ნოემბერი:** დღეს რაღაცა მოულოდნელობას უნდა ელოდოთ, მაგრამ უსიამოვნება არ მოხდება, პირიქით, სიტუაციის ცვლილება გაგახარებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**21 ნოემბერი:** დღეს უსიამოვნებების კასკადიც რომ შეგემთხვეთ, გული არ გაიტეხოთ, საღამოს აღმოაჩენთ, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა.

## სევდიანი ფილმი განწყობას... გაგიუმჯობესებთო



ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რატომ მოსწონთ ადამიანებს დრამატული და ტრაგიკული ფილმების ყურება.

საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ასეთი ფილმების დახმარებით, უმრავლეს შემთხვევაში, განწყობის გაუმჯობესება ხდება.

ექსპერიმენტში ახალგაზრდობა მონაწილეობდა – უნივერსიტეტის სტუდენტები. კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ მაყურებლების უმრავლესობა სევდიანი ფილმების ყურებისას პარალელს ავლებდა საკუთარ ურთიერთობებთან, რაც უმრავლესობისთვის ბედნიერების ყველაზე მთავარი წყაროა.

პროფესორი სილვია ნობლოკ-ვესტერვიკი ამბობს, რომ ასეთი ფილმების ყურებისას, ადამიანები თავიანთი ურთიერთობების გამო ხარობენ. შედეგად, მათი განწყობა ცოტა ხნით მართლაც უმჯობესდება.

ამავე დროს დადგინდა ისიც, რომ კვლევის შედარებით ეგოისტ მონაწილეებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „რა კარგია, ჩემთანაც ასე რომ არ ხდება", განწყობა დადებითისკენ, პრაქტიკულად, არ შეცვლიათ.

***iscience.ru***

## მამაკაცები თავს მოხუცებად 58 წლის ასაკში გრძნობენ, ქალები კი...



მართლაც, როგორ ძალიან უყვარს მშვენიერ სქესს ყველაფრის უპროპორციოდ და უცნაურად გაზვიადება?! აბა, შეიძლება, 29 წლის ასაკში მყოფმა ადამიანმა საკუთარ თავს მოხუცი და ბებერი უწოდოს?! რა თქმა უნდა, არ შეიძლება, თუმცა როგორც სულ ახლახან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ქალები სიბერესთან სიახლოვეს სწორედ 29 წლის ასაკში გრძნობენ. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მათ ანალოგიური გრძნობა მხოლოდ 58 წლის ასაკში უჩნდებათ, თუმცა ვფიქრობთ, ესეც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალების მეოთხედი მოხუცებულად თავს მაშინვე გრძნობს, როგორც კი პირველი ჭაღარა თმის ღერი უჩნდება. მეორე მხრივ, მამაკაცები თავს ახალგაზრდებად იქამდე გრძნობენ, სანამ საწოლში ყველაფერი „ხოშიანად" მისდით.

გარდა ამისა, გამოკითხული ქალების 10 პროცენტი გრძნობს, რომ ბერდება, როცა კანი ძველებურად გლუვი და ელასტიკური აღარ არის. 50 პროცენტი აცხადებს, რომ მოხუცად თავს მას შემდეგ აღიქვამს, როცა გრძნობენ, რომ მშობიარობის შემდეგ სხეული ძველებურ ფორმებს კარგავს. კიდევ 3 პროცენტი ამტკიცებს, რომ, როცა დედასავით იწყებ მოქცევას, ეს სიბერის პირველი ნიშნებია.

***obozrevatel.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ღამით მატარებელში. ხმა გვერდზე საწოლიდან:

– ქალბატონო, კიდევ დიდხანს უნდა იძახოთ: „ფისი ქენი, კოტიკო, ფისი ქენი, კოტიკო, ფსს, ფსს, ფსს"...

– და რა ვქნა, ბავშვი მოფსმას ვერ ახერხებს!

– სამაგიეროდ მე უკვე 20-ჯერ ჩავიფსი!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია ≫ 21135 9457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი

(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე

(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი

ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი

ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:

alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.15